619
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲖᲘᲗᲔ

№ 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1970



გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფ-
ლიოს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო! ღირსეულად შევხვდეთ კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას!
უფრო მაღლა ასწიეთ წლიური და ხუთწლიანი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის წინასაყრილობო
სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობთ — წინ ლენინური გზით
კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჯგუფ

№ 11 (408) ნოემბერი, 1970 წ.

გამოცემის წელი 48-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და საინფორმაციო
სამხატვრო ჟურნალი

შთვარისაკენ. პლაკატი თ. სამსონაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სომხეთის ოჯახოცდაათი წლისთავი

ერთი ძმის დღესასწაული მუდამ მეორე ძმის დღესასწაულიც არის, ერთის ლხინი — მეორისთვისაც ლხინია. ასე ვიყავით და ვართ ჩვენ და სომხები. ამიტომაც არის, რომ ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულით ულოცავს მოძმე სომხეთის ხალხს დიდ დღესასწაულს — სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ნახევარი საუკუნის წინ, 1920 წლის ნოემბერში დაიბადა ახალი სომხეთი, ნახევარი საუკუნის წინ აფრიალდა ერევნის ცაზე დიდი ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა — სიმბოლო და მაუწყებელი თავისუფლებისა და ბედნიერებისა. ფრთა შეისხა თავისუფლებისმოყვარე სომეხი ხალხის ძველისძველმა ოცნებამ, ამიერიდან ხალხი თვითონ გახდა თავისი ბედის, თავისი მიწა-წყლის, თავისი სამშობლოს ბატონ-პატრონი.

71 9 90

მძიმე გზა გაიარა სომეხმა ხალხმა, ვიდრე მისი ეს ოცნება ცოცხალ სინამდვილედ იქცეოდა; ამ დღისთვის იბრძოდნენ ხალხის საუკეთესო შვილების მთელი თაობები, ამ დღისთვის იბრძოდნენ სომეხი მუშები და გლეხები, მისი მოწინავე ინტელიგენციაც, იბრძოდნენ მოძმე ხალხებთან მხარდამხარ, იბრძოდნენ იმ ბნელი ძალების დასათრგუნად, რომელნიც განუკითხავად თარეშობდნენ სომხეთის მიწაზე, ძარცვავდნენ ხალხს, ფეხქვეშ სთელავდნენ მის უფლებებს; ვინ მოსთვლის რა განსაცდელს არ გადაუვლია სომხეთის თავზე ვრცელი საუკუნეების მანძილზე, მაგრამ ხალხი მუდამ პოულობდა ძალას ხელახლა აეგო გადამწვარი სოფლები და ქალაქები. ენით აუწერელია ის უბედურება, რაც სომხეთს თავს დაატყდა პირველი მსოფლიო ომის დროს. მარტო 1915-16 წლებში თურქეთის სულთანის ბრძანებით გაწყვიტეს ერთი მილიონი სომეხი, ამდენივე აჰყარეს და გადაასახლეს არაბეთის უდაბნოებში, სადაც მათი ხვედრი ისევ დაღუპვა და ტანჯვით სიკვდილი იყო.

1920 წელს თურქი დამპყრობლები კვლავ თავს დაესხნენ სომხეთს; დაშნაკურმა მთავრობამ, რომელმაც სომხეთი უცხოეთის იმპერიალისტების სათარეშოდ აქცია, ვერ მოახერხა თურქ თავდამსხმელთათვის სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია. მტრის ჯარმა აიღო ალექსანდროპოლი და საფრთხე უშუალოდ დაემუქრა ერევანს. კვლავ დადგა საშინელი განსაცდელის ჟამი და ხალხმა ნათლად დაინახა, რომ სომხეთის ხსნა შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას; და აი, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, წითელი არმიის ძმური დახმარებით სომხეთის მუშებმა და გლეხებმა დაამხეს დაშნაკების საძულველი მთავრობა, დაამსხვრიეს ანტანტის იმპერიალისტებისა და თურქი დამპყრობლების უღელი, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

ამიერიდან დაიწყო ახალი ხანა სომხეთის ისტორიაში; საბჭოთა ეპოქამ მოაშუშა ძველი ტკივილები, დაამკვიდრა ხალხების ძმობა. საბჭოთა რუსეთმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ახლადწარმოქმნილ სომხეთის რესპუბლიკას, ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ შექმნა ყველა პირობა ქვეყნის კულტურისა და ეკონომიკის მანამდე არნახული აღორძინებისათვის.

თავისუფალი სომეხი ხალხი დღეს მთელი გატაცებით აშენებს კომუნიზმს; უზარმაზარი წარმატებებით ხვდება მოძმე სომხეთი თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — იგი იქცა მძლავრი ინდუსტრიის, მოწინავე მიწათმოქმედების ქვეყნად, კიდევ უფრო ლაღად გაშალა ფრთა მისმა კულტურამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

მსურს ხელთ ავიღო თასი სევანის,
ვთქვა სადღეგრძელოდ სიტყვა გულისა,
გაკმაროს ყველა შემოსევანი,
გარდა მოსეულ სიყვარულისა!
ძმებო, ჩვენ გული გულზე დავადოთ,
სადაც იშვება ალი მცხუნვარი,
და სიყვარულის ცეცხლით დავადნოთ,
ვით არარატი, ისე მყინვარი!
მე შენს სიხარულს ზანგა მახარებს
ჩამორხეული, პირსარკიანი,
შენს პოეზიას მე შემაყვარებს
თაფლის მწვეთავი ისაკიანი.

ასე მიესალმებოდა დიდი ქართველი პოეტი მოძმე სომხეთს.

სომეხი ხალხი თავისი რესპუბლიკის სახელოვან თარიღს აღნიშნავს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის საზეიმო წელს. და სომეხ ხალხს ამ დღეებში განსაკუთრებული საბაბი აქვს კვლავ გამოთქვას ხალხთა დიდი ბელადისადმი მადლობის გრძნობები — ლენინის გენიამ მოუტანა მას თავისუფლება და ბედნიერება.

საბჭოთა სომხეთის იუბილე — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაულია. დაე, მარადის დღეგრძელობდეს ჩვენი ურღვევი მეგობრობა, ჩვენი მტკიცე ძმობა, რომლის შუქი და მადლი დაჰნათის მთელს ჩვენს უზარმაზარ სამშობლოს — დიდ საბჭოთა კავშირს!

ს. ჯ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ქალ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ᲣᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲙᲕᲔᲗ

მთელი ჩვენი ქვეყანა გატაცებით ემზადება საკავშირო X XIV ყრილობის შესახვედრად. ამ მზადების დღეებს ემთხვევა ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი. ამ დღეებში ჩვენი ფურნალის კორესპონდენტები — ოთარ დემეტრაშვილი და ზოთა ჩხეტიანი ესტუმრნენ თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ბრიგადირს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ზეინალ ᲒᲘᲣᲠᲘ ᲧᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ და სთხოვეს ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე.

თქვენი ქარხნის მუშაობას ჩვენ ქარგად ვიცნობთ. მუდამ გვაინტერესებდა თქვენი შრომის ამბები, თქვენი წარმატებანი. გთხოვთ გვიამბოთ, როგორ ხედებით პირადად თქვენ და თქვენი ბრიგადა ამ დიდ თარიღებს?

ჩვენს ქარხანაში ოთხ ტიპის ელექტროავტომატური გამოთვლელი მზადდება. ეს გამოთვლელები იხმარება ელექტრისადგურებში, ქარხნებში, დარაჯებში, სხვადასხვა დიდ საწარმოებში, უველგან, სადაც კი მაღალი ძაბვის დენს იყენებენ. გამოთვლელი თავიანთურ დროულად წარმოადგენს: საკმარისია დენის წყარონი მოხდეს ძაბვის ზეკეთრი გაძლიერება, ანდა მოცულ ჩართვა, და გამოთვლელი მაშინვე ავტომატურად ამოქმედდება, დენს გამოთიშავს და გარდაუვალი ავარიისაგან იხსნის საწარმოს.

როგორც ხედავთ, ჩვენს ქარხანაში დაპროექტდა პროდუქციის სახალხო მეურნეობაში დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს. სწორედ ამიტომაც არის, რომ ამ პროდუქციაზე დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

მე ამჟამად საექსპორტო უუნის ბრიგადის ხელმძღვანელად ვმუშაობ. ჩვენი ბრიგადა დაჩქარებულ ვარიანტზე დგას და უკვე კარგა ხანია, რაც კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდებას ატარებს.

ჩვენი ბრიგადა უოველდღიურ გეგმებს 130, ხშირად კი 150 პროცენტით ასრულებს. გეგმის გადაჭარბებით ჩვენ უკვე 1.000 ავტომატი გვაქვს დამზადებული. საოფიციო თარიღებისათვის კი გადაწყვეტილი გვაქვს, ხელ ცოტა, 1.000 ცალი ავტომატი კიდევ გამოვუშვათ გეგმის გადამეტებით.

თქვენი ქარხანა ცნობილია, როგორც ახალგაზრდული კოლექტივი. თქვენს ბრიგადაშიც ყოველ ახალგაზრდები არიან. რას გვეტყვით მათზე?

— რა უნდა გითხრათ, ბრიგადაში თხუთმეტი კაცია და თხუთმეტივე სტუდენტები გახლავარ, დაუსწრელის სტუდენტები. პირადად მე თბილისის პოლტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური დაუულტეტის მესამე კურსზე ვარ. სხვადასხვა, ძალიან მნერი კოლექტივი გვაქვს: რომელიმე რომ ავად გახდეს, ან გადაუდებელ საქმეზე წავიდეს, ან ვიქნათ, საგანს ახარებს, საქმის ეს არ დაეტყობა. გასაკვირველი კეთდება. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისთვის — აი ჩვენი დევიზი.

ივლისის პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია წარმოებისათვის ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს. თქვენ რას აკეთებთ იმისათვის, რომ გაუფლეთ ჩვენს ახალგაზრდობას ინტერესი თქვენი ამ საპატიო პროფესიისადმი?

იცით, მე ამ მეორეა, ახალგაზრდა ადამიანს, დაწყებული ადრინდელი წლებიდან, ხშირად აქვს მიდრეკილება მეჭანაზმებისაკენ. ეს ხომ ძალზე როული და საინტერესო საქმეა. ჩვენ უნდა ვეცადოთ ეს ინტერესი გავალრმავოთ, ჩვენს ფრონტ სხვანაირად შეუძლებელია — ეს ხომ მაჭანანის და ტექნიკის ეპოქაა. და აი, როგორ წწვავედ დადგა ახალ ჭალაქადაც და სოფლადაც ამ ახალგაზრდა კადრების აღზრდა, რომელიც მხარს გაუსწორებენ დროის მოთხოვნილებებს. მათი აღზრდისათვის საჭიროა სწორედ ეს ინტერესი და სიყვარული გაუღვიძოთ. აი, ჩემზე ეფექტი. საბჭოთა არმიის რიგებში მწენებელ მბალეთოში ვმსახურობდი. ჩვენი სამუშაო არც ისე იოლი იყო. ბრიოკ ადგილებში ტარაზეები გაგვაყვან, ვამეოფილთ კაბელებს, ვაგებდით სხვადასხვა დანაშენებს ნაგებობებს.

რიცა ჯარიდან ბინდისში დაბრუნდი და ელექტროავტომატში დავიწყე მუშაობა, ჩემი სამუშაო, ცოტა არ იყოს, მეჩოთარა. უზარმაზარი ძალების ზიდვას ან რთულ სამუშაოებზე ტექნიკას ვიყავი მიჩეფული და ახლა მოდელ დდე რაღაც ნეკისტოლ დეტალებს ჩავარკვევდნენ. „რა არის ეს? ცოტა უფრო მძიმე და კიცური სამუშაო მოგეცალ!“ ვეჩვეწებოდი ჩემს ოსტატს მაზ ბოკორიძეს. „მაიცა, შვილისა, — მაწყნარებდა ოსტატი, — გიოვლის ცოტა ხანი და ნახავ როგორ შეგიყვარებდა ეს დალაცეული საქმე“.

ოსტატი მართალი გამოდგა, ჩვენი სამუშაო ისეთია, თუ ახლოდან არ გიცქერი, არ შეიჩუენე და არ ჩასწეედი, ისე, ერთი შეხედვით, შეიძლება მოსაწყენადაც კი მოგეჩვენოს.

ეი სწორედ ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა ქარხანამ ვადაწყვეტა შეიობა ვიწეა ახალგაზრდებისათვის — თბილისის 72-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის.

არჩევანმა გვგიმართლა. ახალგაზრდები თანდათან შეეჩვივნენ, შეისწავლეს და შეიოვარეს ეს საქმე. ახლა მოსწავლეები ხშირად დადიან ჩვენთან პრაქტიკაზე. ჩვენ უფრადღებასა და მზრუნველობას არ ვაკლებთ მათ. შედეგი? შედეგი ის არის, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი ახალგაზრდა მოვიდა ჩვენთან სამუშაოდ და ახლა მოწინავეთა რიგებში დგანან. ჩვენი სამეფო სოფლა — ჩვენი ქარხნის კადრების სალმედი ფიტაფრები გახდა.

თქვენ იყავით წევრი მთავრობის იმ დელეგაციისა, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ წარგზავნა ყაზახეთში. გვიამბეთ თქვენს მთავრებებზე.

ყაზახეთის სამეფოა სოციალისტური რესპუბლიკის და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან გეიმგზავრა დელეგაცია. სულ ოთხნი ვიყავით: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მეფვანაძე, მწერალი კონსტანინე ლორთქიფანიძე, მახარაძის რაიონის სოფელ ნიგაზეულის კოლმეურნეობის ეზეიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხვედლანა ნიკოლაოვნა და მე.

ორიოდე სიტყვა ჯერ მაზგაროობის თაობაზე. თვითმფრინავით ეფეგეთ. ვსხედვართ სალონში, ვსაუბრობთ. ვასილ პავლეს ძე გვიყვება სხვადასხვა საინტერესო ამბებს. მე ეაზახეთში პირველად მივდივარ. თვითმფრინავის ფანჯრიდან გავიცქერი ზმით გადარეულ თეალუწვდენელ სივრცეებს. ველია საუბარში შეუმჩნეველად გავიდა საბნახეკარი საათი და აი, ალმა-ათაც, ზეინერბში ჩაფლული ლამაზი დედაქალაქი ყაზახეთის რესპუბლიკისა.

აეროპორტზე გულთბილად შეგვეგებნენ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამბასანი კუნაევი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები. აქედან პირდაპირ სასტუმროში წავიყვანენ.

რაკი ბევრი გავარძელო, შევდგარ ჩემს ნომერში. კარიან, ცოტა არ იყოს, შეეკუნენი. ვხედავ მაგიდაზე მდიდრული სუფრაა გაშლილი, ქართული კონიაკები ალაგია, ზოლოლადის ფილები, ნამეხვარი, მრავალნაირი ყაზახური საუმელები და ხასენები. რაშია საქმე? ხმის ნომერში შემოვედი?

კარზე კაკუნის ხმა მესმის. ოთახში კონსტანტინე ლორთქიფანიძე შემოდის. „ბიეთს! აქაც სუფრაა გაშლილი?! — მესმის მისი ხმა, — რაშია საქმე. საკმის გახარკვევად ხვედლანა ნიკოლაოვნის ნომერში შევდგარი. აქაც სუფრა! ახლა კი ყველაფერი ნათელია. კონსტანტინემ მაშინვე კონიაკით შეავსო ჭიქები. „ბოლო ხანებში ექიმებმა ღვინის სმა ამიკრძალეს, მაგრამ კონიაკზე არაფერი უთქამთ.. ეს ეგ არ იყოს, განა შეიძლება ახეთ კარგ მასპინძელს ჭერი არ დაეულიოთ?“

ყველა ვცალეთ კონიაკით სავსე ჭიქის.

ტექნიკური კონტროლიორი ნაზი ენუქიძე ამოწმებს ზეინალის ნამუშევარს.

ზემოთ — გიური წულაია ლაბორატორიაში. ქვემოთ — ნაცონმ-მეგობართა შორის.

საქართველოს სსრ მთავრობის დელეგაციის წევრები ალმა-ათაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ადრეც იცნობდით?

არა, ეს პირველი მწერალი იყო, რომელიც პირადად გავიცანი. თქვენც იცით, როგორი წარმოდგენა აქვს ბავშვს მასწავლებელზე. პატარაობაში მასწავლებლები რაღაც განსაკუთრებულ ადამიანებად მიმაჩნდა. ახე მეგონა, მასწავლებლისათვის ბევრი ადამიანური თვისება საგანგებით უცხო იყო. მე ვერც კი წარმომედგინა, რომ მასწავლებელს სხვებივით შეეძლო ხმამაღლა და გულღიად გადაეპარხარა, ანდა ვთქვათ, დაელია და დავლური ჩამოეგლო. ასეთი გულუბრყვილო შეხედულება ბავშვობის წლებთან ერთად გაქრა და მათი გახსენება ახლა უნებლიე ღიმილს მგვრის.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როგორც გითხარით, პირველი მწერალი იყო, რომელიც ახლოს გავიცანი. ცოდვა გამხდარიყო სჯობდა: როცა ბატონ კონსტანტინესთან შესახვედრად მივდიოდი, უცებ ჩემი ბავშვობის დროინდელი მასწავლებლები გამახსენდნენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ წინათ, ბავშვური გულუბრყვილობით, რასაც მასწავლებელს მივაწერდი, ახლა, შეგნებულმა და ახალში შესულმა კაცმა — მწერალს მივაწერე.

როცა ვნახე, ჩაშინ მოვხვედი როგორ ვცდებოდი. კონსტანტინე მარტო კარგი მწერალი კი არ ყოფილა, თურმე ღმერთმა მოგცეს ყველგან ასეთი პარტნიორი მგზავრობაშიც, სუფრასთანაც, მეგობრობაში და, წარმოიდგინეთ, სანადირო მაგიდასთანაც კი.

ჩვენს განკარგულებაში რამდენიმე თავისუფალი საათი იყო. არ ვიცოდი დრო როგორ გაეყვანა. კონსტანტინე შემოვიდა და მითხრა — წამოდი, ბილიარდი ვითამაშოთო.

ჯერ მე დავწინაურდი. მიხარია, ვიტყვი მაინც — კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ვაჯობე-მეთქი. მაგრამ წარმატებისაგან თავბრუ მესხმის, და აი უკვე ძვლის ბურთს ბურთს ვაცილებ და ზედიზედ ვიხდი ჯარიმებს — გაჭირვებით ლუზაში ჩაგდებულ ბურთებს ისევ ბილიარდზე ვალაგებ.

ახლა კონსტანტინე დაწინაურდა, ეტყობა, წარმატებისაგან თურმე მწერლებსაც ესხმით ხოლმე თავბრუ!.. ბურთს ბურთზე აცილებს და უკმაყოფილო სახით ისევ ბილიარდზე ალაგებს ჩაგდებულ ბურთებს.

დავწინაურდები მე და... ისევ ამოვალაგებ ჩაგდებულ ბურთებს. დაწინაურდება კონსტანტინე და... ისევ ამოალაგებს, ხან ისევ მე ვარ წინ, ხან ისევ ის. ორი საათი ვითამაშეთ და პარტია მაინც ვერ დავამთავრეთ. დღესაც არ ვიცი, ვინ უფრო ცუდად თამაშობს ბილიარდს, ბატონი კონსტანტინე თუ მე.

ვინ ნახეთ, ვინ გაიცანით, ალბათ, ბევრი ახალი მეგობარი შეიძინეთ.

სამუდამოდ დამამახსოვრდება უაზახეთის გულღია და სტუმართმოყვარე ხალხი. აქ მინდა გავიხსენო ჩვენი, ახე ვთქვათ, საკუთარი მახპინძელი. საქართველოს დელეგაციაზე ზრუნვა მინდობილი ჰქონდა რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს კ. კონაკბაევს. ჩვენ ძალიან შევეჩვიეთ და ძალიან შეგვიყვარდა ეს ენამოსწრებული, მზრუნველი და გულთბილი კაცი. წარმოიდგინეთ, მან კატეგორიულად აგვიკრძალა მანქანაში ერთად ჩახდომა! „არაფერი არ ვიცი! საქართველოს დელეგაციის თვითეულ წევრზე თითო პერსონალური „ვოლგაა“ გამოყოფილი! კეთილ ინებეთ და თქვენ თქვენს მანქანებში ჩახხედით!“ გაგონილა? ჩვენ ერთად ყოფნა გვინდა და მახპინძელი კი ხამი „ვოლგით“ კიკოხაკით ცალ-ცალკე დაგვაქროლებს აქეთ-იქით?!

„საქართველოში ბევრი გყავთ ასეთი კარგი ქალიშვილები?“ ხშირად გვეკითხება ჩვენი მახპინძელი, თან სვეტლანა ნიკოლაიშვილს შესცქერის და ფიქრებში წასული მთელი უაზახეთში ცნობილ საუკეთესო ვაფკაცებს არჩევს სახიერად...

უაზახეთში ყოფნის მესამე დღე ზეიმის დამაგვირგვინებელი დღე იყო. დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ტრიბუნაზე ვდგავართ. ჩვენს წინ მომხიბვლელი სანახაობა იშლება: ხამხედრო პარადი... მშრომელთა დემონსტრაცია... უამრავი ყვავილები... ბედნიერი მოღიმარი სახეები... მზე კი უმოწყალოდ აჭერს. ბაკის ტემპერატურა 45 გრადუსს უახლოვდება, ხული გვეხუთება. ჭიქა წყალი ოცნებად გვაქვს გადაქცეული. ზეიმი მთავრდება. ტრიბუნის ახლოს, ჩრდილში კონსტანტინე ლორთქიფანიძე დგას და ხელს გვიქნევს (ვერც კი შევნიშნეთ როდის დაგვცილდა), ეშმაკურად იღიმება და ხელში, რაღაც ჯადოსნური მანქანებით ნაშოვნ, ყინულივით ცივ ბორჯომს თამაშებს.

აი, ხაზეიმო სხდომაც. ორატორს ორატორი ცვლის. დამსწრეები მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ტრიბუნაზე ასულ ვახილ პავლეს ძე მეკავანაძეს, რომელიც მთელი ქართველი ხალხის სახელით მხურვალედ ულოცავს უაზახ თანამოძმეებს დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

ხაზეიმო სხდომის შემდეგ ბანკეტზე მიგვიწვიეს. შინ გვიან დავბრუნდით. კონაკბაევის გრაფიკის მიხედვით მეც, სვეტლანაც და კონსტანტინეც ცალ-ცალკე „ვოლგებში“ ვიხხედით.

ამხანაგმა კონაკბაევმა ბანკეტის შემდეგ შემოგვთავაზა ქალაქიდან ოცდაათ კილომეტრზე მდებარე საბჭოთა მეურნეობას ვესტუმროთო.

ძალიან დაღლილები ვიყავით და უარი ვუთხარით. ეწყინა მასპინძელს.

მოულოდნელად კონსტანტინე ლორთქიფანიძემ წამოიძახა: „აბა დაფიქრდით, ქართველი კაცი რომ სტუმარს ელოდეს, ხამზადისი გაეწიოს და სტუმარმა ამ პატივისცემაზე ხელი აუკრას როგორ ხასიათზე დადგება მასპინძელი? საბჭოთა მეურნეობის მუშები გველოდებიან, უნდა წავიდეთ!“

კონაკბაევს ხახე ეგადრება, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევია.

„იცოდეთ, ამხანაგო კონაკბაევ, ჩვენ იმ პირობით წამოვალთ საბჭოთა მეურნეობაში, თუ თქვენ ნებას მოგვცემთ, ყველანი ერთ მანქანაში ჩავსხდეთ!“

მასპინძელმა განაცხადა:

„თანახმა ვარ, მხოლოდ იმ პირობით, რომ „ვოლგები“ მაინც უკან გამოგვყვნენ და აქეთობისას ვნახოთ როგორ აჭობებს, ერთად ჩავსხდეთ თუ ცალ-ცალკე წამოვიდეთ“...

სულ მალე საბჭოთა მეურნეობაში ვიყავით. ეს შესხვედრა ორი რესპუბლიკის ადამიანების ძმური და ამაღელვებელი შეხვედრა იყო. მასპინძლებმა წაცირონალური ხალათები და სხვადასხვა სუვენირები გვიახსოვრეს. მეგობრულ სუფრაზე თამადობა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს დააკისრეს. ჩვენმა ხახელოვანმა მწერალმა აქაც გვასახელა, და ისეთი თამადობა გასწია, რომ ყველანი კმაყოფილი და მოხიბლულები დარჩნენ.

უაზახი მეგობრების სტუმართმოყვარეობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველგან, სადაც კი გამოვჩნდებოდით, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები ალალი გულითა და

ძმური სიყვარულით გვეგებებოდნენ. დავათვალიერეთ საწარმოები, გავეცანით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. დიდებულია! საამაყოა! გრანდიოზულია!.. წამდაუწუმ ვიძახით აღტაცებით და ჩვენს მასპინძლებთან ერთად ძმურად ვხარობთ მათი წარმატებით.

სიტყვა ცოტა გამიგრძელდა ამ ამბებზე, მაგრამ ყველაფერი ეს რატომ გავიხსენე, იცით? ჩვენი დიდი დღესასწაულიც კარზეა მომდგარი, და ახლა გვნახონ როგორ დავხვდებით ჩვენს ძმებსა და მეგობრებს.

კიდევ ერთი, ბოლო შეკითხვა, გიური! რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

ვკითხულობ, მუსიკას ვუსმენ. მიყვარს ქალაქგარეთ გასეირნება და, რაც მთავარია, პაატასთან თამაში. პაატა ჩემი ოთხი წლის ბიჭია.

დიღმის მასივში ახლახან მივიღე სამოთახიანი ბინა. ახალგაზრდები რისი ახალგაზრდები არიან, თუ თავი არ გამოიჩინეს? ჰოდა, ჩვენც მკლავები დავიკაპიწეთ, სახლის წინ უქმად დაგდებული ნაკვეთიდან ქვა-ღორღი გავზიდეთ, ორმოები ამოვავსეთ, მთელი ტერიტორია ხელისგულივით მოვასწორეთ და ზედ სპორტული მოედანი მოვაწყეთ.

ამ მოედანზე მრავალი სპორტული ღონისძიება ტარდება, მაგრამ ყველა სპორტულ თამაშობებს მაინც ფეხბურთი გვირჩევნია. ყოველ კვირას, როგორც წესი, მასივის ახლო-მახლო მცხოვრებლები ჩვენი მოედნისაკენ მოეშურებიან და უბილეთო ხალხით აივსება ხოლმე იქაურობა. იწყება დიდი ფეხბურთი — უცოლოებისა და ცოლიანთა გუნდების შერკინება. მე არ ვიცი, მედიცინას რა მონაცემები მოეპოვება ამ საკითხზე, მაგრამ ჩვენს სტადიონზე მიღებულ პრაქტიკას თუ დავეყრდნობით, მატჩის მოგების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ცოლიანობა წარმოადგენს. სხვაგან როგორ არის, რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენს მასივში ყოველთვის ცოლიანების გუნდი სჯობნის უცოლოების გუნდს!

სტუდენტი ზეინკალი თავისი ოჯახით.

გ. წულაია ინსტიტუტში.

ოთარ შალამბერიძე

შეხვედრა

მე ორმოცი წლის
გავხდები მალე,
შენ კი გეგონა
ჭაბუკი ვიყავ;
რაღაც სურთ მითხრან
მაგ შემკრთალ თვალებს,
მაგრამ ჭავლივით
გაგირბის სიტყვა.
ნუ გეშინია,
ხმა ხომ მოგესმა
ქვეყნად ყოველგვარ
თრთოლვის გამჩენი?
ხშირად მწვანეა
ის ხეც, რომელსაც
ძირში უტირის
თოვლის ნარჩენი.

ნუ მეტყვი...

ნუ მეტყვი,
რატომ დავშორდით მაშინ,
სჯობს დავივიწყოთ
მიზეზი წყენის;
შენც იყავ ბავშვი,
მეც ვიყავ ბავშვი
და მაინც გვაკლდა
ბავშვური ცრემლი.
ახლა კი, როცა
მარტონი დავრჩით
და გახსენებაც
უფრო ძნელი,
არც შენ ხარ ბავშვი,
არც მე ვარ ბავშვი,
მაგრამ ჭარბად გვაქვს
ბავშვური ცრემლი.

ელიშე ჩარენცი

სულ მახსოვხარ

მე სომხეთის ტკბილი სიტყვა,
პირმზიანი სიტყვა მიყვარს,
ძველი საზის ნაღვლით ყღერა
და ტირილი სიმთა მიყვარს,
სისხლით ნაფერ ყვავილთ სიო,
ნიავქარი ვარდ-სურნელთა
და ქალწულებრ მოქნეული
აცეკვება წყვილთა მიყვარს.

მიყვარს ჩვენი მუქი ზეცა,
წყალ-ანკარა, ტბა-მღელვარე,
მზე ზაფხულის და ზამთრისა
ქარიშხალი მომთაბარე,
ძველ ციხეთა ნატამალნი,
უსტუმრო და კედელ შავი,
და ტაძარნი ნაშენები
ათასწლოვან ქვითა მიყვარს.

სადაც კი ვარ, სულ მახსოვხარ
მაგ სევდიან სიმღერებით,
ლოცვით ვსწავლობ მე შენს წიგნებს
დაწერილებს ძველ ფერებით,
რაც უნდ გულში მახვილი მკრან,
წყლული სისხლით დაიწრიტოს,
მაინც ჩემი შუქმჩქეფარე
სომხეთის ცა ვით არ მიყვარს?

შეჭირვებულ გულთა მკურნად
სხვა ზღაპარი არსად არი,
ნარეკაცის შუბლის მსგავსი
მთა და ბარი არსად არი,
არც ერთ ქვეყნად არარატი
ლაღად მდგარი არსად არი
და მასისის მიუწვდომი
გზები სავსე მზითა მიყვარს.

* * *

რაც კი ცეცხლი ჩემს გულს ახლავს
— შენი იყოს,
სიყვარულმა რაც დამდალა
— შენი იყოს,
სულ შენ გქონდეს, თუნდ მე
ნავლიც ნუ დამრჩება,
ზამთრით ყოფნა თბილად, ლაღად
— შენი იყოს!..

თარგმნა ან. თევზაძემ.

ვაჰაგნ დავთიანი

გამოთხოვება

ვით მეგობრობის გასხივოსნება
და ფრთებშესხმული მშვიდობის ქარი,
ძმობის არილით გარემოსილი,
სომხეთისაკენ მიფრინავს „ჩქარი“.

— მშვიდობით დარჩით, კოლხეთის ველო,
უხვო კახეთო, ლურჯთვალა მტკვარო, —
მე სიყვარული მიმყვება თქვენი,
თქვენი ნათელის სხივებით ვხარობ.

შავი ზღვის პირას გული მღეროდა,
ქართველი ქალის მხიბლავდა მზერა,
მიმაქვს ხალამი სამეგრელოდან
და უკვდავების ამბავი მჯერა.

მიმაქვს სურვილი კეთილი მოძმის
და სიყვარულით მევსება გული,
ქართული ცეკვა ქამანდებს მტყორცნის,
მხიბლავს სიმღერა, მოძმისგან თქმული,

ულმოღერებით მღერის ტაბიძე,
დაუფლებია სიტყვის მაგიას,
საქართველოდან ძმობას აფიცებს
დიდ სომეხ ვარპეტს — იხაკიანს.

მშვიდობით დარჩით, კოლხეთის ველო,
უხვო კახეთო, ლურჯთვალა მტკვარო, —
მე სიყვარული მიმყვება თქვენი
და ძმობის დიდი ნათელით ვხარობ.

სოლომონ ბარონი

საქართველოს მთებში

თოვლიან-ყინულიანი
ცად აზიდული მთები,
მთებიდან მომსკდარ ჩანჩქერის
უფსკრულს ალმასთა ფრქვევა,
ლაჟვარდის ოკეანეში
რწევა არწივთა ფრთების, —
პუშკინს, ლერმონტოვს, — უქიათ,
ახლა მეც მათი ტყვე ვარ.

კლდეებში — ჯიხვთა ჭიდილი,
ვაჟი — მაჟარით ხელში;
ხარი-ირემი მყვირალი
ფურთან შეხვედრას ნატრობს...
მზის შუქით განათებული,
ბუნების შნო და ეშხი —
ქორ-შევარდენთა სამკვიდრო,
ცის კაბადონი ფართო.

თარგმნა გიორგი კალანდაძემ.

ჰრანუშ მირზოიანი

ერთად დავძახოთ მრავალჟამიერ

აავსე ჭიქა, ძმაო ქართველო,
ჩქეფდეს, ვით ზანგუ, ღვინო კახური,
ვუმღეროთ სომხეთს და საქართველოს
ჩვენი საზით და თქვენი ჩონგურით.

ვთქვათ სიმღერები მრავალნაირი,
ჩვენი უებრო ძმობის საქები,
არ დაგზარდებათ ჩემი შაირი,
რომ თავის მოძმეს გიძღვნას ჰანგები.

ახე ხელიხელ გადაჭდობილი,
ვიდგეთ და ძმობის სიტკბო მოგროვდეს.
ქართველ-სომეხნი, როგორც ძმობილნი,
ვცხოვრობდეთ ერთად და ვმეგობრობდეთ.

ვიმღეროთ ერთად, ძმაო ქართველო,
კვლავ მეგობრობა გვწამდეს ამიერ,
ქართლოს-ჰაოსის ტკბილ ცას და მიწას
მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა.

რუსთაველს

აუ, რა დროს გაუვლია,
კვლავ გაივლის მრავალი,
უკვდავებას შენგან ითვლის
შენი შთამომავალი.
სამსხვერპლოზე ანთებული
ცეცხლით, ოქროს ბგერებით
აგიწყვია სიყვარულით,
სიმართლის სიმღერები.
ჩანგი შენი მეგობრობის
სადიდებელს მღეროდა,
შენ გჯეროდა უკვდავების,
შენ მამული გელოდა.
წყაროსავით ხმაწკრიალავ,
ციხკარივით ნათელო,
წამითაც არ გიცოცხლია
ქვეყნად უსაქართველოდ.
გული შენი სიყვარულის
სადიდებელს მღეროდა,
შენ გჯეროდა სიყვარულის,
სიყვარული გშველოდა.
ჩანგი შენი ერთა ძმობის,
სადიდებელს მღეროდა,
შენ გჯეროდა ძმათა ძმობის,
შენ ერთობის გჯეროდა.
პოეტების მეფეთ მეფევ,
ბრწყინავს წიგნი — ღადარი,
არა, შენი დასადარი
არც იყო და არც არი.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა.

გოგჩა, ტბა ვრცელი...

მცირე კავკასიონის მთაგრეხილი, რომელიც საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართება, სომხეთში უზარმაზარ მთებად იქცევა. მწვერვალები აქ ცამდე აზიდულან.

გამოუსადეგარი და უნაყოფო იყო ეს მთები ძველად. დღეს კი, ჩვენმა ეპოქამ, მძლავრი ტექნიკის წყალობით, საბჭოთა ადამიანების ბედნიერების წყაროდ აქცია. მთათა კალთებზე დღედაღამ, განუწყვეტლივ მუშაობენ მექანიზმები და მეწამული სალი კლდეებიდან იღებენ წიაღისეულ სიმდიდრეს.

სევანის ტბა ამ მთების მაღალ ქვაბულშია მოქცეული.

უღრუბლო დღეებში სევანი ისე კაკმაშებს, გეგონებათ ცის კაბადონს ერთი ნაჭერი ლაჟვარდი მოჰგლეჯია და ამ მთების კალთაში ჩავარდნილა, რომ პირქუში მთები გაახალისოს და გამოაცოცხლოსო.

მწვერვალები ზღაპრულ გოლიათებს ჰგვანან, ტბის ირგვლივ ფერხული რომ ჩაუბამთ და სწორედ ცეკვის დროს გაქვავებულან.

ამ ბუმბერაზთაგან ორს თითქოს წრეში შესვლა ვერ მოუსწრია, იქვე გასალკლდეებულა და შუაში გასავლელი გზა დაუტოვებია. ამ გზით მოედინებოდა საუკუნეების მანძილზე მდინარე ზანგუ.

ერთხელ სომხებს თხოვნით მიუმართავთ მეფის მთავრობისათვის, რომ ნება დაერთო, ზანგუსათვის მიმართულება შეეცვალათ და სევანის წყალი თავიანთი მინდვრების მოსარწყავად გამოეყენებინათ. უსულგულო მოხელეებმა ეს თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ შეეხსნა ფრთა ხალხის ოცნებას. ბოლშევიკებმა შეუცვალეს ზანგუს საუკუნოებრივი მიმართულება და სევანის წყალი ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენეს. ზანგუ ახლა ტბის სხვა მხრიდან გამოდის, გვირაბებით მიემართება და გვალვისაგან გადატრუსულ არარატის ველის ბაღებსა და პლანტაციებს რწყავს. მაგრამ სანამ საკოლმეურნეო მინდვრებამდე და ვენახებამდე მიაღწევდეს, ზანგუ აუწერელი სიხეწრაფით ეშვება ძირს, სევში, უზარმაზარ მანქანებს ამოძრავებს და ელექტრონის ძალად ქცეული მიემართება რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებისა და მაღაროების ასამუშავებლად.

მაღალი მთების რკალში ჩასმული ეს ტბა ნამდვილი დიდი ლურჯი თვალია, ანკარა, გამჭვირვალე, ნაზი, მეოცნებე თვალი.

სევანის ტბა ზღვის დონიდან 1916 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. არც სულ პატარა ეთქმის — 1416 კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს, მისი ნაპირების სიგრძე 260 კილომეტრია, სიღრმე ალაგ-ალაგ 90 მეტრამდე აღწევს. წყალუხვია სევანი.

დაუვიწყარი ეღიშე

ეღიშე ჩარენცი

ნახატი ბენიკ სეირანიანისა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, [redacted] მუშაობა დავიწყე სახელმწიფო გამომცემლობაში, სადაც მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვისა და გამოცემის საქმეს პოეტი ნიკოლო მიწიშვილი განაგებდა. მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, არამედ მოძმე ხალხთა მწერლებთან და, საერთოდ, შემოქმედებით ინტელიგენციასთან. მისი კაბინეტი მუდამ ხალხით იყო სავსე; ვის არ შეხვდებოდით აქ: მწერალს, მსახიობს, პოლიტიკურ მოღვაწეს, აგრონომს, ინჟინერსა და მასწავლებელს. ივანე გომართელი, მიხეილ ასათიანი და ვახტანგ კოტეტიშვილი ხომ ხშირი სტუმრები იყვნენ; გიორგი ლეონიძე, რომელიც მაშინ სოლოლაკში, „სახელგამის“ შენობის პირდაპირ ცხოვრობდა, ყოველ დილით მოინახულებდა ხოლმე ნიკოლოს. მალე იქვე ტიციან ტაბიძე და უანგო ღოღობერიძე გაჩნდებოდნენ, ხან ახალ ლექსებს კითხულობდნენ, ხან კი გატაცებით საუბრობდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

1934 წელს მე აქ გავიცანი გამოჩენილი სომეხი პოეტი ეღიშე ჩარენცი. მახსოვს, როგორც კი შემოვიდა [redacted] ნიკოლომ რაღაც განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით მიიღო. მათი გულთბილი საუბარი დიდხანს არ შეწყვეტილა. რაღაც საქმეზე შევედი მიწიშვილთან, მან გამაცნო თავისი სტუმარი და მერე აღარ გამომშვა.

ეღიშე ჩარენცი ძალზე ორიგინალური და თავისებური გარეგნობის ადამიანი იყო და მნახველის ყურადღებას პირველი წუთებიდანვე იპყრობდა. მშვიდსა და წყნარს, ლაპარაკის დროს სახეზე რაღაც სევდა ეფინა. მაგრამ როდესაც გაიცინებდა და ლამაზი თეთრი კბილები გამოუჩნდებოდა, ჩვენს წინ სრულიად სხვა ადამიანი იდგა, ცოცხალი, ენერგიული, დიდი იმედებით აღსავსე, ნაზი და სათნო.

საშუალო სიმაღლის კაცი იყო. მისი ბრინჯაოს ფერი ლამაზი სახე ძველ ქანდაკებას მოგაგონებდათ. ჭკვიანი, გონივრული, მიმნდობი შავი თვალები თითქოს შორეულ საუკუნეებში იხედებოდნენ. როგორ შვენოდა ხშირი შავი თმა და ოდნავ ბავშვური და უბრალო გამოხედვა! იმ ხანებში მისი წიგნი „ნაირის ქვეყანა“ ქართულ ენაზე უნდა გამოგვეცა და ნიკოლოც ამ თემაზე ესაუბრებოდა. ერთი საათის შემდეგ ეღიშე დაგვემშვიდობა და წავიდა.

მეორე დღეს, დილით ადრე, ნიკოლო მიწიშვილთან გამომცემლობაში მოვიდნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და ეღიშე ჩარენცი.

— აბა ნიკო, წავიდეთ ახლა საკალმასოდ, — უთხრა პაოლომ ნიკოლოს. კოჯრისაკენ წავედით. გზაზე, ტაბახმელასთან, სასადილოში მშვენიერი სუფრა გაიშალა. სუფრა კი არა, ეს იყო უფრო ლიტერატურული შეხვედრა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. ტიციან ტაბიძემ ლაპარაკი დაიწყო სომხური ლიტერატურის ისტორიაზე, გაიხსენა როგორც ძველი ძეგლები, ისე ახალი ნაწარმოებები, ძველი სომხური აღორძინების მოთავეები — გრიგოლ ნარეკაცი და ნერსეს შნორალი, მომდევნო დროის ოსტატები — ოვნათან ნალაში და ნაპეტ ქუჩაკი, კავკასიის სამივე ერის საერთო მგოსანი — არუთინა საიათნოვა, ახალი დროის ოსტატები — ვაჰან ტერიანი და ავეტიკ ისააკიანი. ჩარენცმა განცვიფრებით ჰკითხა — საიდან იცნობთ ასე ზუსტად მთელს ჩვენს ეროვნულ საუნჯესო. სომეხი პოეტი უზომოდ გახარებული იყო — ის მიხვდა, რომ უსაყვარლეს მეგობართა შორის იმყოფებოდა, რომელთაც იციან რა არის ძმობა და მეგობრობა და რას გავალებს იგი.

სუფრას ღვინის ძალა დაეტყო, ეღიშე წამოდგა და ბარათაშვილის „მერანის“ რუსული თარგმანი ბრწყინვალედ და მართლაც ურუანტელის მომგვრელად წაიკითხა: ნიკოლომ იქვე სთხოვა მას ეთარგმნა სომხურ ენაზე ბარათაშვილის ყველა ლექსი და პირადი წერილები. — მე დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა ეს, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე, — უპასუხა ეღიშემ, — ახლა კი გარწმუნებთ, რომ ამ საქმეს მტკიცედ მოვკიდებ ხელს და ვთარგმნიო. ნიკოლო მიწიშვილმა იქვე დამავალა მომენახა იოსებ გრიშაშვილი და ეღიშე ჩარენცისთვის შემეხვედრებინა.

მეორე დილით გავწიე ხარფუხისაკენ, სადაც იოსებ გრიშაშვილი ცხოვრობდა და ვუთხარი რაზედაც ვიყავი მისული. სოსოს ძალიან გაუხარდა, მითხრა: ეღიშე ჩემი ძველი მეგობარია, ხვალვე მოვალ გამომცემლობაში და ვინახულებო.

ეღიშე დილით ადრე მოვიდა, ნიკოლო მიწიშვილი ჯერ არსად ჩანდა, დავიწყეთ საუბარი ჩვენი ერების ძველ მეგობრობაზე. პოეტმა მითხრა, რომ დიდად ინტერესებს კახეთის, განსაკუთრებით კი წინანდლის ნახვა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწერა საქართველოზე ლირიკული ლექსები

მკითხველს ალბათ [redacted] ტიციანის სტრიქონები ლექსიდან „სერგეი ესენინს“.

ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი.

სწორედ ამ ჩოფურაშვილის დუქანში შევხვდი კიდევ ერთხელ გამოჩენილ სომეხ პოეტს. მაგიდასთან ისხდნენ ეღიშე ჩარენცი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ჩვენი გამომცემლობის მხატვარ-გრაფიკოსი ნ. ჩერნაშკოვი; აღგზნებული იყო ეღიშე, გახარებული, ფრთაშესხმული, მედუდუკეებს თვითონ აძლევდა შეკვეთებს, ისეთი სამხიარულო ატმოსფერო იყო, მიწაზე აღარ გეგონებოდა თავი, და ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, თუ რა დიდი ძალა აქვს სიყვარულს და როგორ აახლოებს ის სხვადასხვა ერის ადამიანებს.

იყო არა მარტო დუდუკის ტკბილი ღუღუნი, იყო ლექსებიც, დავა, კამათი ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაზე. თვითონაც სიტყვის უბადლო ოსტატები იხსენებდნენ ძველ ოსტატებს, ვალერიან გაფრინდაშვილი გატაცებით კითხულობდა ბლოკის, ბრიუსოვისა და ხლებნიკოვის ლექსებს, ტიციან ტაბიძე იხსენებდა ბოდლერსა და რიმბოს, პაოლო იაშვილი სიმღერას წამოიწყებდა და სხვები ბანს აძლევდნენ.

ეღიშე ჩარენცი უკანასკნელად მოსკოვში ვნახე, 1934 წელს, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზის ფოიეში იდგა, ნიკოლო მიწიშვილსა და ვალერიან გაფრინდაშვილს ესაუბრებოდა, მეც მივედი, ხელი ჩამოვართვი. მითხრა — შემოდგომაზე თბილისში ჩამოვალ და კახეთში ერთად წავიდეთო.

სამწუხაროდ, აღარ დასცალდა მას თავისი ჩანაფიქრის განხორციელება.

ეღიშე ჩარენცი კვლავ ცოცხალივით დგას ჩემს თვალწინ. ეს უბრწყინვალესი ვარსკვლავი სომხური საბჭოთა პოეზიისა იყო ცოცხალი განსახიერება იმ დიადი, კეთილშობილური გრძნობისა, რომელსაც ხალხთა ძმობა და მეგობრობა ჰქვია.

ალექსანდრე სიგუა

მიუხედავად ამისა, საუკუნეების მანძილზე სომხეთი წყლის ნატრული იყო. არარატის დაბლობში მიწა გვალვისაგან უცრემლოდ ტიროდა. საითაც გაიხედავდით, ქვეშით დაფარულ უდაბნოს ისევ უდაბნო ენაცვლებოდა; ხვატისაგან გამომშრალ მიწაში სომეხი გლეხი ჩააგდებდა თუ არა თესლს, ცაში იცქირებოდა, მთელ იმედს წვიმაზე ამყარებდა, მაგრამ ბედი არ სწყალობდა, გვალვა აოხრებდა ყანებს, ბაღ-ვენახებს და ღარიბი გლეხი მშიერ-მწყურვალი რჩებოდა.

სამუდამოდ მოეღო ბოლო ამ გაჭირვებას, ამ ტანჯვას. დღეს სომხეთის მიწა-წყალი წალკოტად იქცა.

1968 წელს ამუშავდა ერევნის დიდი ელსადგური, სევან-ბრაზდანის კასკადის ყველაზე უმცროსი შვილობილი.

სევანის სილამაზითა და მისი ჰიდროელექტროსადგურებით აღტაცებული ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანი წერდა:

ეს ტბაა თუ მნათობია?
მზემ გარეკა ნისლები,
შენ მგზავრობა დაგტყობია
და ტბის ეშხით ივსები.

სევანში უხვადაა თევზი. განსაკუთრებით სახელგანთქმულია მისი შეუდარებელი იშხანი.

ამჟამად გაცხოველებული ძიება და მუშაობა მიმდინარეობს, რომ სევანის წყლის საუკუნოვანი მარაგი არ შემცირდეს. მეცნიერთა აზრი უფრო შორს წავიდა. მათ გადაწყვიტეს არფას წყლის კალაპოტის შეცვლა და სევანთან მისი შეერთება.

მთიანი სომხეთის აღმოსავლეთით, სევანის დონეზე ცოტა მაღლა, მიედინება მდინარე არფა. სპეციალისტებმა გამოარკვიეს, რომ თუ ამ მდინარეს განსაზღვრული სიმაღლის ზღუდეს აუშენებენ, იგი სევანისკენ გასწევს.

ეს პროექტი მოწონებულია. საკმაოდ დიდ ფართობს დაიჭერს ჯერმუკის სანატორიუმის წინ გადაჭიმული წყლის აუზი. მაგრამ მდინარე არფას წყალი რომ სევანის ტბამდე მივიდეს, სალ კლდეებში ძალზე გრძელი გვირაბი უნდა გაიჭრას. ეს არ არის ადვილი საქმე, მაგრამ ახლა, თანამედროვე ტექნიკის პირობებში არც ამას შეუშინდნენ. გეოლოგიური კვლევითი დაზვერვის შემდეგ მეგვირაბეები უკვე შეუდგნენ მუშაობას, დაიწყეს გვირაბის გაჭრა.

გაივლის არც ისე დიდი დრო და ამ გვირაბით მდინარე არფას წყალი სევანს შეუერთდება. ამის შემდეგ სომხეთის ფირუზის თვალი უფრო ძალუმად გაბრწყინდება და პოეტები კვლავაც აღტაცებით შეასხამენ ქებას ლურჯად მოლივლივე გოგჩის ტბას.

ივანე დავითიანი,
საქართველოს სსრ დამსახ. მასწავლებელი.

ნუ გეშინია, დედა

„ცისკრის“ 1970 წლის მეშვიდე ნომერში დამთავრდა ბეჭდვა ნოდარ დუმბაძის რომანისა „ნუ გეშინია, დედა“.

ამ ახალ რომანში კვლავ მოსჩანს, კვლავ ისმის ჩვენი უმაწვილკაცობის სიცილი, ირონია, იუმორი, ჭმუნვა, გასაჭირი, ფიქრი, გრძნობა და სიყვარული.

ნოდარ დუმბაძე კვლავ თავის სტიქიაშია, ჩვენს წინ კვლავ გადაიშალა საქართველოს ტურფა მხარის — გურიის ახალგაზრდა მკვიდრის საინტერესო სახე.

სხვათა შორის, კარგია, რომ ქართველთა მოდგმა ერთფეროვანი არ არის (თუმცა, ეს მარტო ჩვენზე როდი ითქმის, ასეა ყველა ცნობილი ერი); ასე რომ არ იყოს, მრავალწახნაგოვანი, მდიდარი კი არა, მონოტონური, ღარიბი იქნებოდა ქართველთა ეროვნული ხასიათი.

ყურადღებით დავუკვირდეთ ავთო ჯაყელის თავგადასავალს, რომელიც მწერალმა მოგვითხრო. ავთო სიმპათიური, კარგი, კაცური კაცია. ავთო ურმაა და მიუხედავად ამისა, მისი პიროვნების ადამიანური მასშტაბები, იდეური პრინციპები, მორალური, ზნეობრივი იდეალი ჩამოყალიბებული და გარკვეულია.

ავთო ზეცას მოწყვეტილი მეტეორი როდია, ჩვენს მიწაზე შემთხვევით რომ ჩამოვარდნილა; მისი გენეტიკური, სულიერი ფესვები კარგ ნოყიერ მიწაშია გადგმული. ავთოს პაპაც, დიდედაც, მამაც, დედაც ყველანი წესიერი, მიზანსწრაფული, პატიოსანი ადამიანები იყვნენ და არიან. იგივე უნდა ითქვას ზურიკელასა და სოსოიაზე. ერთი სიტყვით, დუმბაძის რომანების გმირები მართლაც საყვარელი, კარგი ქართველები არიან. მათ სახეებშიც მოსჩანს ერის ზნეობრივი დონე.

ხომ არ იმეორებს ნ. დუმბაძე წინა რომანებში უკვე დახატულ ხასიათებს? არა მგონია ასე იყოს. ქართველთა ხასიათი ერთია, ქართველმა მწერალმა ეს ერთი ხასიათი უნდა წეროს, ოღონდ სხვადასხვა საღებავებით.

ნ. დუმბაძე ამ ცხოვრებაში უპირველესად კეთილ ადამიანებს ხედავს, ბოროტებასაც ამჩნევს, ოღონდ ის მათ ან ვერ ხატავს, ან არ ხატავს. კაცია და გუნებაო, ნუ მოვთხოვთ მწერალს იმას, რაც მის მწერლურ თვალის არეში არ ხვდება.

ნ. დუმბაძე ჰუმანისტია. ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“ დასახლებულია სხვადასხვა ეროვნული წარმოშობის ადამიანებით, რომელთაც ერთი რამ აკავშირებს — ადამიანობა. აქ არიან რუსი, უკრაინელი ბიჭები, ქურთი აბო, სომეხი ძია ვანიჩკა, თურქი, ავთომ დურბინდით რომ შეათვალიერა საქართველოს საზღვარს იქით. ავთანდილი ხომ მესაზღვრეა.

გავიხსენოთ ნ. დუმბაძის პირველი რომანი. იქ მან მოსისხლე მტერიც ვერ გაიმეტა, შეიცოდა, ისეთ სიტუაციაში მოათავსა, რომ ქართველმა ქალმა გერმანელ ჯარისკაცს ლუკმა პური გაუწოდა, რომელიც თვითონ აკლდა.

სხვათა შორის, ასეთი ჰუმანიზმი, სხვადასხვა ერის შვილების შეხვნება, მოსიყვარულება, ჩვენი ეროვნული ხასიათის ერთ-ერთი უშესანიშნავესი თვისებაა. ეს თვისება ისტორიამ შეგვიმუშავა. საუკუნეების მანძილზე ჩვენ სხვადასხვა ეთნიკური ერთეულებისაგან შემდგარი ძლიერი ქართველი სახელმწიფო გვქონდა. დარუბანდიდან ტრაპიზონამდე გადაჭიმულ სახელმწიფოში ჩვენ სხვა ერების შვილთა მფარველობაც და შეწყნარებაც შეგვეძლო; ეროვნულ ხასიათს, რომელიც ათასწლეულებში მუშავდება, ათწლეულები ხომ ვერ შეცვლიან.

ავთანდილ ჯაყელი ზურიკელას, სოსოიას მკვიდრი ძმაა, თუ გნებავთ ავთო ამ საუკუნის სამოციანი წლების ზურიკელაა. ეს ასეა, ოღონდ ავთო არც ზურიკელაა, არც სოსოია. ავთო სხვაა, რადგან ის ცოტა არ იყოს სხვა სიტუაციაში აღმოჩნდა; სხვა რომ არ იყოს რა, ავთო უფრო ქალაქელია, ვიდრე სოფლელი.

ორმოციან თუ ორმოცდაათიან წლების პირველ ნახევარში დუდანას და ვიტას სალონები თბილისში არ არსებობდნენ. ეგენ ერთი, ორი იყო, იქ ავთო ვერ შეაღწევდა. ასეთი სალონები სამოციან წლებში წარმოიქმნა. ამ სალონებში, ცოტა არ იყოს, საკვირველი ახალგაზრდობა იყრის თავს. ეს ის გარემოა, რომელსაც არც ზურიკელა, არც სოსოია არ იცნობდნენ. ამ გარემოში ავთანდილ ჯაყელიც უცხო ფრინველად მოსჩანს.

ზურიკელა ან სოსოია სამშობლოს საგუშაგოზე რომ მდგარიყვნენ, შეიძლება, ჯაშუშის, იმპერიალისტური სახელმწიფოს აგენტის ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყვნენ. ავთოს მეგობარი შერბინა კი მორფინისტმა იმსხვერპლა.

ავთო თავგამოდებით ებრძვის დუდანას და ვიტას სალონების მკვიდრებს. ის იქ გამოკრეტინებულმა არამზადებმა ორჯერ მაგრად მიბეგვეს. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ავთო იქ მარტოხელა აღმოჩნდა. როცა ავთო ჩხარტიშვილთან, პარხომენკოსთან, ალი ხორავასთან, ალი ბიძიასთან, ფერიდესთან არის, იქ ასეთი რამ წარმოუდგენელია.

ნოდარ დუმბაძის ზურიკელა, სოსოია, ავთანდილი, რასაკვირველია, რომანტიკოსები არიან. მაგრამ ეს რომანტიკოსები ორივე ფეხით მაგრად დგანან მშობლიურ მიწაზე და მზად არიან მის საკეთილდღეოდ ბევრი რამ კარგი მოიქმედონ, და თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც შესწირონ მამაპაპათა სამყოფელს; ეს ბიჭები ოპტიმისტები არიან, ოღონდ არა უგუნური, ბრიყვი ადამიანები, რომელნიც, გარდა ვარდისფერისა, ვერაფერს ხედავენ ამ ცხოვრებაში.

ნ. დუმბაძე ორ შემთხვევაში, სხვადასხვა დროსა და გარემოებაში, კომიზმით აღსავსე სიტუაციას ქმნის. არც ავთოს მამამ სამამულო ომის დროს, არც ავთომ და მისმა მეგობარმა მესაზღვრეებმა იმ განსაზღვრულ წუთებში არ იციან რეალური ვითარება: ავთოს მამა ჭეშმარიტ გმირობას იჩენს მოენის მოსაყვანად რომ მიდის, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს, რომ ხანგარი გერმანელებმა კარგა ხანია დატოვეს. საზღვარზე რომ განგაში ატყდება, მესაზღვრეები დარწმუნებული არიან, რომ მტერი შემოვიდა. ბოლოს გამოირკვევა, რომ საზღვარი დათვს გადმოულახავს. სიტუაცია ორივე შემთხვევაში კომიკურია. მაგრამ აქ ყურადსაღები ობიექტური ვითარება კი არ არის, არამედ ის, რომ მებრძოლები მზად არიან პირნათლად შეასრულონ თავისი მოვალეობა. უეჭველად ეფექტიანი ლიტერატურული ხერხი მოუმარჯვებია ავტორს. რომანის ამ ადგილებს რომ კითხულობ, ღიმილი არ გშორდება, თან დარწმუნებული ხარ, რომ შენს წინაშე უშიშარი, საამშობლოს ერთგული დამცველები არიან.

მესაზღვრეები, მათ შორის ავთო, ჭეშმარიტი გმირები არიან: გავიხსენოთ მორფინისტის ქალაქალ დევნა, დიდი ხანძარი, რომელსაც ისინი ჩაქრობენ. ამავე დროს, ეს უმაწვილები ნაზი სულის, ფაქიზი განცდების მატარებელნი არიან. რა კარგად, მართლაც, ოსტატურად არის მოთხრობილი დათვის ბელის ამბავი და ავთოს ხასიათი, რომელიც კიდევ ერთხელ, მკაფიოდ გამოიკვეთება ამ ფონზე.

ავთო, ცოტა არ იყოს, ადვილად შემყვარებელი არსებაა. ესეც მისი ხასიათის გამამყღავნებელი საინტერესო დეტალია, რომელიც უფრო რეალურს, კონკრეტულს, ცხოვრებისეულს ხდის მის სახეს; რომანის სხვა მოქმედი პირნი ცოცხალ ადამიანებად მოსჩანან. დიალოგის სიხხარტესა და სიმახვილეზე აქ არაფერს ვიტყვით, ამ მხრივ ნ. დუმბაძეს გარკვეული რეპუტაცია აქვს. ნაწარმოებში მოქმედებაც მიზანსწრაფული და დინამიურია.

ავთანდილს აფორიაქებული, მაძიებელი სული აქვს, ეს ალბათ 18-20 წლის ახალგაზრდის დამახასიათებელი თვისებაა. რას ეძებს ავთო, ალბათ ჩვენი ცხოვრების დიდ და ჭეშმარიტ სიმართლეს. ჩინგიზ აიტმატოვის უკანასკნელი, უეჭველად კარგი მოთხრობის „თეთრი გემის“ პატარა გმირმა ბიჭუნამ ეს სიმართლე ვერ იპოვა, ის ბოროტმა ადამიანმა ორაზკულმა დათრგუნა, გათელა, მოსპო, დაღუპა.

რეზო ჭეიშვილის დალიც დაიღუპა. ამ რომანის, „დალის“ (მის მხატვრულ ღირსებაზე ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ) მეორე გმირმა ელგუჯამ ქალაქში რომ ვერც სიყვარული, ვერც სიმართლე იპოვა, თავის სოფელს მიაშურა. ქალაქმა ელგუჯა სულიერად, ფიზიკურად დაასახიჩრა, სოფელმა განკურნა.

ავთო ქალაქში მოდის, ახლა ის უფრო ადვილად ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში, ჯარიდან დაბრუნებულს კონკურსს გარეშე გაუღებენ ყველგან კარს. უნდა ვიფიქროთ, ავთო სიმართლეს აქ, ქალაქადაც იპოვის.

შემეძლო, რასაკვირველია, სხვადასხვა სახის შენიშვნები გამეკეთებია ნოდარ დუმბაძისათვის. ხანდახან მწერალი ბეწვის ხიდზე დადის, მკითხველს, რომ ჰგონია ეს არის აგერ გადაიჩეხება სენტიმენტალიზმში, ცოტა არ იყოს, პროვინციულ რომანტიზმშიო; ის არც თუ ადვილად, მაგრამ მაინც აღწევს თავს განსაცდელს; ეს იმიტომ ხდება, რომ ნ. დუმბაძე ბუნებას ძლიერი იუმორის, ირონიის ნიჭით დაუჯილდოვებია. ოღონდ იმასაც ნუ დავიწყებთ, ირონია განმეორებისას უკვე აღარ აღერდება ნამდვილი ძალით.

ნუ ეშინია დედას. ავთანდილი არ დაიკარგება ამ ცხოვრებაში. ის იპოვნის იმ ვარსკვლავს, რომელსაც მიანდომს თავის ბედს. ის იპოვნის ჭეშმარიტ სიყვარულს, ცხოვრების დიდ სიმართლეს. მას მხარში ჩვენი კეთილი, კარგი, ჭკვიანი, დაკვირვებული უმაწვილკაცობა ამოუდგება. დუდანას სალონის მკვიდრთ ისტორიის მაღალი ტემპერატურა აორთქლებს. რა ქარსაც მოუტანია, ის ქარი წაიღებს მათ.

ამ, ათასჯერ თუ ასათასჯერ დახნულ და გადახნულ მიწაზე თავის კვალს ზურიკელა, სოსოია, ავთანდილიც, მათი ტოლებიც დაამჩნევენ. კეთილმა ადამიანებმა შეინახეს ერი, ისინი აცოცხლებენ და წინ წაიყვანენ მას მარადჟამს.

ვლადიმერ მაჭავარიანი.

გრიგოლ ხანძთელის ეკლესიები

დიდი ქართველი მწერალი და ფილოსოფოსი, მცოდნე მრავალი უცხო ენისა, არაერთი დიდი კულტურული წამოწყების მოთავე გრიგოლ ხანძთელი ცხოვრობდა VIII-IX საუკუნეებში მიჯნაზე. მას კალამს ეკუთვნის: საწელიწადო „ადგილი" (ქიმწების დიდი კრებული), სავედრებელნი, ქებაი კლარჯეთის უდაბნოთა და სხვ.

გრიგოლმა დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის აყვავებას. მისი თაოსნობით ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არაერთი ძეგლი იქნა აგებული. გავლენიანი ფეოდალის გაბრიელ დაფანჩულის მეშვეობით იგი დაუახლოვდა მეფეს — აშოტ კურაპალატსა და მის შვილებს (ადარნასე, ბაგრატი, გურამი), რომელთაც დიდად შეუწყეს ხელი მის მიერ დაწყებულ კულტურულ საქმიანობას.

თავისი ცხოვრების ბოლო წლებში გრიგოლი მოღვაწეობდა მის მიერ აშენებულ ხანძთის მონასტერში (აქედან მოდის მისი ზედწოდება — ხანძთელი). მისი გარდაცვალების თარიღად ადრე მიჩნეული იყო 816 წელი.

ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ თავის ნაშრომში „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მე-10 საუკუნისა" გაარკვია, რომ გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 860 წელს.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ (951 წელს), მისი მოწაფეების დახმარებით, აღწერა მწერალმა გიორგი მერჩულემ. ამ მოწაფეთა შორის იგულისხმებიან ხანძთის წინამძღოლი თედორე და „ძმა იოანე".

„ხოლო ხანძთისა წინამძღურისა (იგულისხმება თედორე — ბ. კ.) და იოანე ძმისა და წიგნისა ამის აღმწერლისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრება ესე".

„ქართულ სინას" — ხანძთის მიდამოებს სამხრეთით იმერხევის წყალი უვლის, აღმოსავლეთით მდინარე კარჩხალი (იმერხევის მარჯვენა შენაკადი), ჩრდილოეთით დგას კარჩხალის ქედი, რომლის გრეხილები იცავენ ხანძთას დასავლეთის მხრიდან. სწორედ აქ, 60 მეტრის სიმაღლის კლდის შუა ადგილზე აღმართულია ბაზილიკა (სიმაღლით 18 მეტრი, ამჟამად ეს ადგილი თურქეთში მდებარეობს).

გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებულ ეკლესია-მონასტრებში იწერებოდა ორიგინალური შრომები, ითარგმნებოდა ახალი წიგნები, მზადდებოდა ძველი თარგმანების პირები და სხვ. იქვე დარჩა ერთი ძველი ხელნაწერი ხანძთის ტაძრიდან გრიგოლის ცხოვრების შესახებ ფერადი მინიატურით, რომელზეც გადმოხატულია გრიგოლ ხანძთელის ფრესკა ხანძთიდან: ეს ხელნაწერი ამჟამად იერუსალიმშია, საპატრიარქო ბიბლიოთეკაში.

აღნიშნული ხელნაწერი პირველად 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იპოვნა და მიუთითა ნიკო მარს ამის თაობაზე. ნიკო მარი იმჟამად წერდა შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებს, რომელიც მალე ცალკე წიგნად დაიბეჭდა. ამ ნაშრომში მოათავსა მან გრიგოლ ხანძთელის მინიატურული პორტრეტი (მხატვარი უცნობია).

აქ ვაქვეყნებთ ამ პორტრეტს.

სურათს აქვს წარწერა თავს ზემოთ ასომთავრულითა და ქარაგმებით: წმინდა გრიგოლ ხანძთელი.

ქვემოთ კი ხუცურით წარწერილია: „თვესა ოქტომბერსა 5 ღირსსა მამისა ჩვენისა გრიგოლ ხანძთელისა რომელ იყო ქართველი" (ნაწერში არის ქარაგმები).

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, აკად. შალვა ამირანაშვილმა, გრიგოლ ხანძთელის ამ დაკანონებულ პორტრეტის გადმოხატვის თარიღად მე-16 საუკუნე მიიჩნია. ჩვენთვის ეს მაინც ძვირფასი დოკუმენტია და, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ შესანიშნავი ქართველი მოღვაწის სურათის გამოქვეყნება.

ბორის კანდელაკი

უბადლო და ბუმბერაზული



ეს — საბჭოთა საქართველოს სიამაყეა, დიდი მშენებლობა, გადაკიმული შავი ზღვის ნაპირებიდან სვანეთის მთებამდე. ნაგებობის სირთულითა და ტექნიკური აზრის გბედულებით ამ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში ბადალი არ მოეძებნება; ენგურჰესს აშენებს მთელი ჩვენი რესპუბლიკა. ეს ჩვენი საერთო-სახალხო საქმეა, ჩვენი სიამაყე და სიხარული.

მშენებლები მთელი გატაცებით იღვწიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ და სასახელო საქმეებით აღნიშნონ ისტორიული თარიღები — საკ. XXIV კრების ბაზრის დღე, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეე.

დაეცხრომელი შრომის რიტმი და მაჯისცემა იგრძნობა ყოველ უბანზე. აი, დადგა მშენებლობის გამამდიდრებელი ფაბრიკის აგრეგატების გასინჯვის და გაშვების დრო. წესრიგშია თუ არა ყველაფერი — ამას გულდასმით ამოწმებენ მთავარი ინერგეტიკოსი ო. ნომიკოსი და ინჟინერი ვ. გაბულდანი (ფოტო 1).

აკ კი ბეს I-ის საგენერატორო შენობის ხარაჩოებია. წინა პლანზე ჩანან კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. ზარნაძე (შუაში), მარცხნივ და მარჯვნივ — მებეტონეები გ. კვირკველია და გ. მიქაია (ფოტო 2).

მშენებლები, იმავე დროს, თვალს ადევნებენ ჩვენს მწერლობას — რა გამოვიდა ახალი... დღესაც ამის შესატყობად მოვიდნენ ისინი გვირაბმშენის კლუბის ბიბლიოთეკაში (ფოტო 3).

ქვემოთ, გიგანტური თვითმავალი ექსკავატორი ახალ არხსა სჭრის (ფოტო 4).

ენგურჰესის მშენებლობა განკარგულებაშია ყველაზე უფრო მოწინავე ტექნიკა, კერძოდ, უმძლავრესი ავტომანქანები — „ბელაზები“. სურათზე — მოწინავე მძღოლები გ. ჯახია და დ. არბანია (ფოტო 5).

ეს კი ბესი I-ის მშენებლობის საერთო ხედია. იგი მწყობრში ჩადგება საბჭოთა საქართველოს დიდი საიუბილეო ზეიმის ფლეებში (ფოტო 6).

ფოტო გ. ფანტანგაკისა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერიიდან „მოდა-70“. ფოტო ო. თურქიასი.

მოგზაურობა საუკუნეთა სიღრმეში

3. მზის ღმერთის ტაძარი

ქ. მოსულიდან ბაღდადისაკენ დავეშვით. ასურეთის ბრწყინვალე სატახტო ქალაქების — ნინევიისა და ნიმრუდის დათვალიერების შემდეგ მივისწრაფოდი მზის ღმერთის საბრძანებლისაკენ — ქალაქ ჰათრასაკენ (ჰადრასა), რომელიც ერთ დროს აღმოსავლეთში უაღრესად მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. დღემდე უცნობია მისი დაარსების თარიღი. ყოველ შემთხვევაში ძველი წელთაღრიცხვის II ს-ში უკვე უნდა ყოფილიყო ქალაქის ძირითადი ნაწილი აშენებული. ვარაუდობენ, რომ აქ ქალაქს ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში (I-III) მართავდნენ არაბული მოდგმის დინასტიები, რომლებიც ხარკს უხდიდნენ პართელებს. 1961 წელს გათხრების დროს აღმოაჩინეს ტაბლეტები, სადაც ჰათრას მეფე სანატრუკი მოხსენებული იყო, როგორც არაბების მეფე. აღმოჩნდა აგრეთვე ამ მეფის სკულპტურის თავი, გამოძერწილი კირქვისაგან. ფიქრობენ, რომ ეს მეფე უნდა იყოს არაბული დინასტიის დამაარსებელი (I საუკუნის შუა წლები). ჰათრა განთქმული იყო ვაჭრობითა და ტაძრებით. ჰათრელებს მიაწერენ ცეცხლის კატაპულტების შექმნას, რასაც რომაელებმა „ჰათრას ცეცხლი“ უწოდეს. ჰათრა დაანგრია ირანის მეფემ შაპურ I-მა დაახლოებით 270 წელს. ამბობენ, რომ შაპურმა შეტევით ვერ აიღო ქალაქი და მხოლოდ ჰათრას მეფის ასულის ღალატის წყალობით დაიპყრო იგი. მოღალატემ მტრებს მეფის მფარველი თილისმის საიდუმლოება გაუხსნა. შაპურმა ისარგებლა მეფის ასულის ღალატით, მაგრამ აღშფოთებულმა მისი ასეთი საქციელით, იგი სიკვდილით დასაჯა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, 363 წელს, როცა რომაელთა ჯარებმა ჰათრაზე გაიარეს, იგი უკვე ნანგრევებად იყო ქცეული.

ჰათრასაკენ მიმავალ გზაზე ხშირად გვხვდებოდა ადგილობრივ მკვიდრთა ჯგუფები: ქალები შავ აბაში გახვეულები მიერეკებოდნენ დატვირთულ სახედრებს. უკან ველოსიპედებზე შემსხდარი მამაკაცები მისდევდნენ. ამინდი ფუჭდებოდა. გზაზე ნისლი ჩამოწვა. წვიმაც წამოვიდა. მალე მოგვიხდა მოსულ-ბაღდადის გზიდან მარჯვნივ გადახვევა და 140 კმ-ის გავლის შემდეგ მივადექით ჰათრას არქეოლოგიური ექსპედიციის მთავარ ბინას. საბედნიეროდ, წვიმამაც გადაიღო და ნისლიც გაიფანტა. მიგვიღო ექსპედიციის ხელმძღვანელმა ჰაზიმ ელ-ნაჯაფმა, რომელიც გაგვიძღვა და პირდაპირ ძველი ქალაქის მოედანზე მიგვიყვანა. ჩვენს წინ დიდებული ტაძრის ნანგრევები გადაიშალა, რომლის რესტავრაცია ამჟამად მიმდინარეობს. ეს ტაძარი, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება, ფაქტიურად სამ ტაძარს მოიცავს. ცენტრალური, დიდი ნაწილი მზის ღმერთის — შამაშის სადიდებლადაა აშენებული. მზის ღმერთი ჰათრასა და მისი სამეფო დინასტიის მთავარი ღმერთია და იგი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. შამაშის ტაძრის მარჯვნივ ბახუსის მომცრო ტაძარია, მარცხნივ — მითრასი. ყველა შენობა თლილი ქვისაა.

შევდივართ შამაშის ტაძარში. შესასვლელში შიდა კედლებზე არამეული წარწერებია. კედლების გასწვრივ ორსავე მხარეს (შესასვლელის მარჯვნივ და მარცხნივ) არწივის ოთხ-ოთხი ქვის გამოსახულებაა. კედლებთან, ადამიანთა როგორც ჩანს, მეფეებისა და დიდებულების ქანდაკებებია. ყველანი ფეხზე მდგომარე პოზაში არიან გამოქანდაკებულნი, მარჯვენა ხელი აწეული აქვთ, რითაც შამაშის წინაშე მორჩილებას გამოხატავენ. ამ დარბაზის სიღრმეში მარცხენა კუთხესთან არსებული პატარა კარით გავდივართ ოთახში, სადაც თავმოყრილია ჰათრაში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი სკულპტურების ნაწილი. აქ არის ღმერთების მთელი ოჯახის სკულპტურული გამოსახულებანი: „მზე“ (მამა), რომლის თავი მზის სხივებითაა შემკული, „მთვარე“ (დედა), რომლის თავთან ნამგალა მთვარეა გამოსახული და მათი ძე. ამ უკანასკნელის თავის უკან მზეცაა გამოსახული და მთვარეც. აქვე გვხვდება ქანდაკებანი ჰათრას მეფეებისა* და დიდებულებისა. სკულპტურების ქვეშ ქვაზე არამეულად წერია მოქანდაკის სახელი. მაგალითისათვის შეიძლებოდა დაგვესახელებინა ღმერთების ოჯახის (მზე, მთვარე და მათი ძე) მოქანდაკე ბარ-აშრა. ასეთი მოქანდაკეების მთელი ოჯახები და თაობებია ცნობილი. ასე, მაგალითად, წარწერები გვამცნობენ მოქანდაკეთა სამ თაობას ბარ-ნანაის ოჯახში. სკულპტურების მასალად გამოყენებულია მარმარილო ან კირქვის ის სახეობა, რომელსაც „მოსულის ქვას“ უწოდებენ.

მზის ტაძრის შესასვლელი დარბაზი გადავკვეთეთ და გავედით ფართო დერეფანში, რომელიც ოთხკუთხედის ფორმის დარბაზს გარს უვლის. ვარაუდობენ, რომ ამ დარბაზში მზის ღმერთის ქანდაკება იდგა. დარბაზის წინ შესასვლელთან ორივე მხარეს დგას ჰათრას ორი მეფის ქანდაკება. მეფეები ფეხშიშველა არიან და ხელში მზის ღმერთის პატარა ქანდაკებები უჭირავთ. დარბაზსა და დერეფანში მარმარილოს ფილებია დაგებული. დერეფნის გადახურვა თითქმის მთლიანად დაცულია პირვანდელი სახით.

ქ. ჰათრას ორი გალავანი ერტყა გარს: გარეთა — 8 კმ-ის სიგრძისა და შიდა — 6 კმ-იანი. ამ ორ გალავანს შორის შუალედი 0,5 კმ-ს აღწევდა, სადაც ქალაქის დაცვისათვის გათვალისწინებული კოშკები იყო აგებული. ქალაქის ცენტრალურ ადგილას მოედანი იყო, რომლის დასავლეთ მხარეს ბაზარი უნდა ყოფილიყო, მის მოპირდაპირე მხარეს — აღმოსავლეთით — ქალაქში შესასვლელი მთავარი ჭიშკარი. მოედნის შუა ადგილას იდგა ის ტაძარი, რომელიც ჩვენ დავათვალიერეთ.

ჰათრას ტერიტორიის გათხრა შედარებით გვიან დაიწყო. გათხრებს პირველად 1951-55 წლებში აწარმოებდნენ. ხუთიოდე წლის შემდეგ, 1960 წელს გათხრები განახლდა. გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთებისა და ქანდაკებების ერთი ნაწილი ექსპონირებულია ერაყის მუზეუმში ბაღდადში, დიდი ნაწილი კი — მოსულის მუზეუმებში, სადაც ამ ექსპონატების დათვალიერება მოგვიხერხდა. აქედან შეგვიძლია დავასახელოთ ქალის ქანდაკება, რომლის პოსტამენტზე არამეულად აწერია: „ძეგლი სუმაისი, აიას ასულისა... რომელიც აღმართა მისმა მეუღლემ აიამ ათარათას ქურუმის აბბას ძემ...“ ეს ქანდაკება ჰათრას ტაძარში იყო დადგმული. საყურადღებოა ქანდაკება ჰათრას მეფისა, რომლის სარტყელზე გამოსახულია მზისა და მთვარის ღმერთები, ჰათრას მეფის — უთალის ქანდაკება სათანადო არამეული წარწერით, ქანდაკებანი ჰერკულესისა, რომელსაც მარცხენა მკლავზე ლომის ტყავი აქვს გადაკიდებული, რომაელი მებრძოლის ქანდაკება და სხვ. სკულპტურების ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით ტაძრის ტერიტორიაზეა. სამწუხაროდ, როგორც ჩვენ იქ გვითხრეს, ჰათრას ტაძრიდან მოუპარავთ ერთ-ერთი მეფის ქანდაკების თავი. ძიება დღემდე გრძელდება, მაგრამ უშედეგოდ.

ახლა გათხრები წარმოებს ჰათრას მთავარი ტაძრის გარეთ, ქალაქის სხვადასხვა უბანში, სადაც აღმოჩენილია საცხოვრებელი სახლების კვალი. თვით ტაძრის ტერიტორიაზე კი ინტენსიურად მიმდინარეობს ამ შენობის რესტავრაცია. სამუშაო მეტად შრომატევადია და დიდ სიფაქიზესაც მოითხოვს. ჩვენ ვესაუბრეთ მუშა-რესტავრატორებს. ისინი დიდი სიყვარულით საუბრობენ სარესტავრაციო ძეგლებზე, რომელთა სათანადო სახით აღდგენა მათ სამართლიანად ეროვნულ საქმედ მიაჩნიათ. სხვაგვარად შეუძლებელიცაა ღია ცის ქვეშ მთელი დღის განმავლობაში ამუშავებდე ქვის ცალკეულ დეტალებს. საყურადღებოა, რომ ფაქიზ სამუშაოებს ხნიერი მუშები აკეთებენ, რომლებიც ამ საქმიანობაში ათეული წლების განმავლობაში მუშაობით დაოსტატდნენ. ჩვენ შევეცადეთ კინოფირზე აღგვეტეჭდა ამ დიდებული „მზის ღმერთის ქალაქის“ მთავარი სალოცავი და სარესტავრაციო სამუშაოები, რის შემდეგაც გამოვემშვიდობეთ სამუშაოთა ხელმძღვანელს ჰაზიმ ელ-ნაჯაფს და ბაღდადისაკენ გავეშურეთ.

მალე მოსულ-ბაღდადის მთავარ გზაზეც გავედით. აქ კიდევ ერთი დამშვიდობება. ამჯერად ჩვენი ჯგუფი ორად გაიყო. მოსულის უნივერსიტეტის თანამშრომლები — არქეოლოგი ფარუკი და უცხოეთის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი ნაჯიბი, რომლებიც ჰათრაში მოგზაურობაშიც გვახლდნენ, მარცხნივ — მოსულისაკენ გაეშურნენ, ჩვენ კი ბაღდადელებმა, მარჯვნივ გავუხვიეთ და გეზი „შინისაკენ“ — ბაღდადისაკენ ავიღეთ.

---

* იხ. „დროშა“, № 10.

ერნესტ ჰემინგუეი

ნახატი თ. სამსონაძისა.

იმ წვიმიან საღამოს ცენზურიდან ვბრუნდებოდი სასტუმრო „ფლორიდაში“. წვიმამ თავი მომაბეზრა და შუა გზაზე ჩიკოტეს ბარში შევედი, რომ რითიმე ყელი ჩამესველებინა. უკვე მეორე ზამთარი იყო, რაც მადრიდს განუწყვეტლივ უშენდნენ ზარბაზნებს. ყველაფერი ილეოდა, თამბაქოც და ნერვებიც. ადამიანს ყოველ წუთს ჭამა უნდოდა და ახირებულად მოსდიოდა გული იმაზე, რაც მის მორჩილებაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგალითად, ამინდზე. უმჯობესი იყო ბინაზე დავბრუნებულიყავი. სასტუმრომდე სულ რაღაც ხუთიოდე კვარტალი იყო დარჩენილი, მაგრამ ჩიკოტეს ბარის კარები რომ დავინახე, გადავწყვიტე ჯერ ერთი ჭიქა გადამეკრა, მერე კი გამეკვლო ბომბებით გადათხრილი, ნანგრევებით ჩახერგილი, ატალახებული ქუჩები გრან ვიას ხუთი-ექვსი კვარტალისა.

ბარი ხალხით იყო სავსე. დახლთან ვერ მიხვიდოდით. არც ერთი თავისუფალი მაგიდა არ ჩანდა. ყველაფერი თამბაქოს ბოლში იყო გახვეული. ისმოდა არეულ-დარეული სიმღერა. აქ ირეოდნენ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები. სველი ტყავის ქურთუკების სუნი იდგა. ერთი ჭიქა სასმელისათვის დახლთან შეჭყუფული ხალხის სამი მწკრივი უნდა გაგერღვიათ.

ნაცნობმა ოფიციანტმა სადღაც სკამი მიშოვა და მე მივუჯექი იმ მაგიდას, სადაც გამხდარი, ფერმკრთალი, ყანყრატოგამობურცული გერმანელი იჯდა. რამდენადაც ვიცოდი, ეს გერმანელი ცენზურაში მუშაობდა. მასთან ერთად კიდევ ორი უცნობი იყო. ეს მაგიდა თითქმის შუა ოთახში იდგა, შემოსასვლელის მარცხენა მხარეს.

ღრიანცელის გამო საკუთარ ხმასაც ვერ გაიგონებდით, მაგრამ მე მაინც შევძელი დამეკვეთა ჭინი, რომ წვიმაში არ გავცივებულიყავი. ბარში ტყავა არ იყო. ყველა ძლიერ მხიარულობდა; ნელ-ნელა წრუპავდნენ დაუდულარ კატალონურ ღვინოს. ამ დროს ვიღაც უცნობებმა მხარზე ხელი დამკრეს, ხოლო ჩვენს მაგიდაზე მჯდარმა ქალიშვილმა რაღაც მითხრა; თუმცა ვერ გავიგონე, რა მითხრა, მაგრამ მაინც ვუპასუხე, დიახ-მეთქი.

აქეთ-იქით ცქერას თავი რომ დავანებე და ჩემს მაგიდაზე მსხდომთ თვალი შევავლე, მივხვდი, ქალიშვილი ერთობ შემზარავი შესახედავი იყო, ნამდვილად შემზარავი. ოფიციანტი რომ დაბრუნდა, გამოირკვა, თურმე ეს ქალიშვილი მთავაზობდა მათთან ერთად დამეღია. მისი კავალერი გამბედავი არ იყო, მაგრამ ამ ქალიშვილის გაბედულება ორთავეს ეყოფოდა. ქალიშვილს მკაცრი სახე ჰქონდა, ნახევრად კლასიკური ტიპისა, ხოლო აღნაგობა ლომის მწვრთნელს მიუგავდა. მის კავალერს წესით ჯერ სასკოლო ქურთუკი უნდა სცმოდა, პალტუხი სასკოლო უნდა ჰქონოდა, მაგრამ ახლა მას, როგორც სხვებს, ტყავის ქურთუკი ეცვა. ხოლო მისი ქურთუკი მშრალი იყო; ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი ჯერ კიდევ წვიმის დაწყებამდე ისხდნენ ბარში, ქალიშვილსაც ტყავის ქურთუკი ეცვა, რაც მის სახეს უხდებოდა.

ახლა მე უკვე ვნანობდი, რომ ჩიკოტესთან შევეხეტე და პირდაპირ სახლში არ დავბრუნდი, სადაც შემეძლო მშრალი ტანსაცმელი ჩამეცვა, წამოწოლილიყავი, ფეხები ტახტის თავზე შემეწყო და სიამოვნებით შეხვა სასმელი. თანაც მომბეზრდა ამ ახალგაზრდა წყვილის ყურება. წუთისოფელი მოკლეა, ხოლო ხაზინდარ ქალებს ქვეყანაზე რა გამოლევს. მაგიდასთან რომ ვიჯექ, გავიფიქრე, მწერალი ვარ და სხვადასხვანაირი ადამიანების მიმართ გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობა უნდა მქონდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე სრულიადაც არ მეპიტნავებოდა ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ თუ არა, ან რა მოეწონათ ერთმანეთის, როგორია მათი ურთიერთობა, ვის რამდენი ფული აქვს და სხვა მისთანანი. გადავწყვიტე, ალბათ რადიოში მუშაობენ-მეთქი. ყოველთვის, როცა მადრიდში უცნაური შეხედულების ადამიანები მხვდებოდნენ, ისინი, როგორც წესი, რადიოში მუშაობდნენ. იმისთვის, რომ რაიმე მეთქვა, ყაყანის დასაფარავად ხმა ავიმაღლე და ვკითხე:

— თქვენ რადიოში მუშაობთ?

— დიახ, — თქვა ქალიშვილმა.

— როგორ ცხოვრობთ, ამხანაგო? — ვკითხე გერმანელს.

— დიდებულად! თქვენ?

— აი დავხველდი, — ვუთხარი, მან კი თავი გვერდზე გადახარა და გაიცინა.

— სიგარეტი არ გეკნებათ? — მკითხა მან. მე მას ჩემი უკანასკნელი კოლოფი გავუწოდე. იქიდან მან ორი სიგარეტი ამოიღო, გაბედულმა ქალიშვილმა— ორი და ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ჯერ კიდევ მოწაფის გამომეტყველება შერჩენოდა, — ერთი.

— აიღეთ კიდევ, — ვუთხარი მე.

— არა, გმადლობთ, — მიპასუხა მან და მის მაგივრად გერმანელმა კიდევ ერთი სიგარეტი აიღო

— ხომ არ ჯავრობთ? — გაიღიმა მან.

— სრულიადაც არა, ვთქვი მე, თუმცა დიდი სიამოვნებით ვეტყოდი უარს და მან ეს იცოდა; მაგრამ მას ისე უნდოდა თამბაქოს მოწევა, რომ აქ ვეღარაფერს გახდებოდი.

უცებ სიმღერა შეწყდა, უკეთ რომ ვთქვათ, ყველაფერი დაწყნარდა ისე, როგორც ქარიშხლის წინ ხდება ხოლმე. ახლა შეიძლებოდა ყველაფრის კარგად გაგონება, რასაც ვიტყოდით.

— თქვენ აქ დიდიხანია ხართ? — მკითხა გაბედულმა ქალიშვილმა. მან უკანასკნელი ბგერა ისე გაგრძელებულად წარმოთქვა, რომ სიტყვამ სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო.

— დიახ! მაგრამ დროდადრო ვტოვებდი აქაურობას, — ვთქვი მე.

— ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ, — თქვა გერმანელმა.

— მე მინდა თქვენთან ლაპარაკი! როდის შევძლებთ შეხვედრას?

— დაგირეკავთ, — ვუთხარი მას.

ეს გერმანელი რაღაც ძალიან უცნაური კაცი იყო და არც ერთ კარგ გერმანელს ის არ უყვარდა. მას ეგონა, რომ როიალზე დაკვრა იცის, მაგრამ თუ ინსტრუმენტთან არ მიუშვებდნენ, გვარიანი გერმანელი იქნებოდა, ლოთი და ჰორიკანა რომ არ ყოფილიყო, მაგრამ ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერავინ გადააჩვია იგი.

ჰორიკანობა მართლაც გასაოცრად შეეძლო; თანაც ყოველთვის იცოდა რაღაც დამამცირებელი ყოველი კაცისა, ვისაც კი დაასახელებდით მადრიდში, ვალენსიაში, ბარსელონაში და სხვა პოლიტიკურ ცენტრებში მცხოვრებთაგან.

ბარში სიმღერა ისევ წამოიწყეს, ხმამაღლა ჰორიკანობა კი უკვე ხაკმაოდ უხერხული იყო. ყოველივე ეს მოსაწყენ დროსტარებას მოასწავებდა, ამიტომ გადავწყვიტე წავსულიყავი ბარიდან, როგორც კი ყველას გავუმასპინძლდებოდი.

მაგრამ სწორედ ამ წუთიდან ყველაფერი აირ-დაირია. ვიღაც კაცი, ვისაც ყავისფერი კოსტუმი და თეთრი პერანგი ეცვა, შავი პალტუხი ეკეთა და მაღალი შუბლიდან უკან სწორად გადავარცხნილი თმა ჰქონდა, პაპუულობდა, მაგიდებს შორის დაძვრებოდა. ამ კაცმა ერთ ოფიციანტს პულვერიზატორიდან რაღაც ხითხე მიახხურა; ყველამ გაიცინა გარდა იმ ოფიციანტისა, ვისაც ჭიქებით სავსე ლანგარი ეჭირა. ოფიციანტი აღშფოთდა. „No hay derecho“. თქვა მან. ეს ნიშნავს: „უფლება არა გაქვთ ასეთი რამ ჩაიდინოთ“. ეს არის ესპანეთში ყველაზე უმარტივესი და ყველაზე უძლიერესი პროტესტი.

პულვერიზატორიანი კაცი აღტაცებული იყო თა-

ჰეჰეღა ᲔᲡ ᲡᲐᲜᲐᲥᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ვისი წარმატებებით და თითქოს იმასაც არ უწევდა ანგარიშს, რომ უკვე ორი წელია ომი მიმდინარეობდა, რომ ალეაშემორტყმულ ქალაქში ვიმყოფებოდით, სადაც ნერვები ყველას დაძაბული აქვს და რომ ბარში მის გარდა, სულ სამი სამოქალაქო პირი იყო; მან მეორე ოფიციანტსაც შეასხურა სითხე.

მივიხედ-მოვიხედე, თავი სად შევაფარო-მეთქი. მეორე ოფიციანტი პირველზე არანაკლებ აღშფოთდა, ხოლო პულვერიზატორიანმა კაცმა, ვინც პამპულობას განაგრძობდა, კიდევ ორჯერ მიასხურა სითხე იმავე ოფიციანტს, ვიღაც-ვიღაცეებს, მათ შორის გაბედულ ქალიშვილსაც, ყოველივე ეს ჯერ კიდევ ხუმრობად მიაჩნდათ. მაგრამ ოფიციანტი შეჩერდა, თავი გადააქნია; მას ტუჩები აუთრთოლდა. ეს იყო ხანშიშესული კაცი და ჩემს მახსოვრობაში ის უკვე ათი წელი მუშაობდა ჩიკოტესთან.

— No hay derecho, — თქვა მან დარბაისლურად. ხალხში ისევ ატყდა სიცილი. პამპულამ კი ვერც შეამჩნია, როგორ მიწყნარდა სიმღერა და პულვერიზატორიდან ისევ მიასხურა სითხე კეფაში სხვა ოფიციანტს. ოფიციანტი შემოტრიალდა, ისე რომ ლანგარი ხელიდან არ გავარდნია.

— No hay derecho, — თქვა მან. ამ ჯერზე ეს არ იყო პროტესტი, ეს იყო ბრალდება. დავინახე, როგორ წამოდგა მაგიდიდან სამი სამხედრო პირი. მათ ხელი წაავლეს აბეზარას და ტრიალა კარებში გაათრიეს. გარედან მოისმა, როგორ ლეწა ერთმა მათგანმა მას სახეში. ბარში ვიღაცამ იატაკიდან აიღო პულვერიზატორი და ღია კარებიდან გარეთ გაისროლა.

სამი სამხედრო პირი დაბრუნდა ბარში. მათ ხელიოზული და ზვიადი გამომეტყველება ჰქონდათ, სახეზეც მოვალეობის მოხდის გრძნობა აღბეჭდოდათ: მალე ტრიალა კარში ისევ გამოჩნდა პამპუალა. მას თმები თვალებზე ჩამოშლოდა, სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა და პერანგი ტანზე შემოფხრეწოდა. ხელში ისევ პულვერიზატორი ეჭირა; სახე გაფითრებული, თვალებს მხეცივით ატრიალებდა; ხელი წინ გაეშვირა, მიზანში არავინ ამოუღია, განურჩევლად დაუწყო ხალხს გაწუწვა.

მე დავინახე, სამხედროთაგან ერთი როგორ წამოდგა და გაემართა მისკენ. მერე კიდევ რამდენიმე კაცი წამოდგა და ყველამ ერთად შეუტია მას; მარცხენა კუთხეში მიიმწყვდიეს. ის გააფთრებით იგერიებდა მომხდურებს. სროლის ხმა რომ გაისმა, მე ხელი ჩავავლე გაბედულ ქალიშვილს და მასთან ერთად სამზარეულოს მივაშურე.

სამზარეულოს კარი დაკეტილი იყო, მხრებით მივაწექი, მაგრამ არ გაიღო.

— შეძვერი იქ, დაბლის უკან, — ვუთხარი ქალიშვილს. იგი დაიხარა.

— გაწექი, — ვუთხარი კვლავ და იატაკისაკენ ვუბიძგე. ქალიშვილი გააფთრებული იყო.

ყველა მამაკაცს ხელში რევოლვერი ეჭირა, გარდა იმ გერმანელისა, რომელიც ქვეშ იყო შემძვრალი და შორიეულ კუთხეში კედელს აკრული უმაწვილისა, მოსწავლეს რომ ჰგავდა. სამი შელებილი ქერა ქალიშვილი, რომელთაც თმის ძირები მაინც შავი ჰქონდათ, კედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე ასულიყვნენ და ცერებზე შემდგარნი ზემოდან იცქირებოდნენ, თან განუწყვეტლივ კიოდნენ.

— მე არ მეშინია, — თქვა გაბედულმა ქალიშვილმა, — ეს სასაცილო რამ არის.

— შენ რა? გინდა მიგახვრიტონ ამ ბარში ატეხილ ჩხუბში? — ვუთხარი მე, — თუ ამ ოინბაზს მეგობრები აღმოუჩნდება, უბედურება დატრიალდება.

მაგრამ, როგორც ჩანს, მას მეგობრები არ აღმოჩნდა, რადგან ხალხმა თანდათან რევოლვერები ჯიბეებში ჩაიდო. ვიღაცამ აკიაფებული ქერა გოგოები სკამიდან ჩამოსხა და ყველანი, ვინც მარცხენა კუთხეში იყო შეჯგუფული, თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ხოლო პულვერიზატორიანი კაცი მშვიდად იწვა იატაკზე გულაღმა.

— პოლიციის მოსვლამდის ფეხი არავინ გადგას გარეთ, — დაიძახა ვიღაცამ კარებიდან.

ორი კარაბინიანი პოლიციელი ქუჩის პატრულებს გამოეყო და გასასვლელთან დადგა. მაგრამ იქვე დავინახე, ბარში მყოფთაგან ექვსი კაცი როგორ გამწკრივდა, ისე როგორც ფეხბურთელები გამწკრივდებიან ხოლმე მოედანზე გამოსვლისას, და ერთმანეთის მიყოლებით კარში გაძვრნენ. მათგან სამნი სწორედ ისინი იყვნენ, რომლებმაც პულვერიზატორიანი კაცი გარეთ გააგდეს. ერთმა მათგანმა კი მოკლა იგი. მათ პოლიციელებს გვერდი ისე ჩაუარეს, თითქოს გარეშე პირები იყვნენ და ატეხილ ჩხუბში მონაწილეობა არ მიეღოთ. ისინი რომ წავიდნენ, ერთმა პოლიციელმა კარაბინით გასასვლელი გადაღობა და გამოაცხადა:

— არავინ გავიდეს გარეთ, ყველა უკლებლივ შიგ დარჩეს!

— მაშ, ისინი რად გაუშვით? ჩვენთვის არ შეიძლება, იმათთვის შეიძლება?

— ისინი ავიომექანიკოსები არიან და აეროდრომზე უნდა იყვნენ, — განმარტა ვიღაცამ.

— რახან ზოგი გაუშვით, სხვების დაკავება სისულელეა.

— უშიშროების ორგანოებს უნდა დაველოდოთ, ყველაფერი კანონიერად და დადგენილი წესით უნდა გაკეთდეს.

— მაგრამ მიხვდით, თუ ერთი ვინმე მაინც წავიდა, სისულელეა დანარჩენების დაკავება.

— ვერავინ ვერ გამოვა, ყველანი ადგილზე უნდა დარჩნენ!

— სეირია, — ვუთხარი გაბედულ ქალიშვილს.

— არა მგონია. ეს ნამდვილად საშინელებაა!

ჩვენ იატაკიდან წამოვდექით. გაბედული ქალიშვილი აღშფოთებული იცქირებოდა იქით, სადაც პულვერიზატორიანი კაცი ეგდო იატაკზე. მას ხელები ფართოდ ქონდა გაშლილი, ერთი ფეხი კი მოკეცოდა.

— მე მივხედავ ამ საბრალო დაჭრილს. რატომ არავინ არ შველის? რატომ ჭრილობას არ უხვევენ?

— მე კი მას თავს დავანებებდი, — ვთქვი მე, — ნუ გავერევით ამ საქმეში!

— მაგრამ ეს ხომ ადამიანობა არაა. მე მოწყალების დად ვემზადებოდი და მას აღმოვუჩენ პირველ დახმარებას.

— არ გირჩევთ, — ვთქვი მე, — ახლო არ მიხვიდეთ.

— რატომ? — ქალიშვილი ძალზე აღელვებული იყო. ისტერიას აღარაფერი აკლდა.

— იმიტომ, რომ ის უკვე მკვდარია, — ვთქვი მე.

პოლიცია რომ გამოცხადდა, ჩვენ მთელი სამი საათი დაგვაკავეს. გამოძიება იმით დაიწყო, რომ ყველა რევოლვერი შეამოწმეს. ფიქრობდნენ, ამ გზით გაიგებდნენ, ვინ გაისროლა. მაგრამ, როგორც ჩანს, მეორმოცე რევოლვერის შემოწმების შემდეგ მათ ეს საქმე მობეზრდათ; ისედაც სულერთი იყო, რადგან ოთახში მხოლოდ ხელი ტყავის ქურთუკების სუნი იდგა. შემდეგ ისინი მიუსხდნენ მაგიდას, რომელიც მკვდარი კაცის ახლოს იდგა, და ხაბუთების შემოწმება დაიწყეს. ის კი იატაკზე ეგდო — სანთელივით გაყვითლებული, მსგავსება თავისთავისა; მას ცვილის ფერი ხელები და სახე ჰქონდა.

შემოფხრეწილი ხალათის შიგნით პერანგი არ ეცვა, ხოლო ფეხსაცმელების ლანჩები გაცვეთილი ჰქონდა. ახლა იატაკზე რომ ეგდო, პატარა და საცოდავი ჩანდა. იმ მაგიდასთან მისახვლელად, სადაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პოლიციელი ხაბუთებს ამოწმებდა, ცხედარზე უნდა გადაგებიჯებინათ. გაბედული ქალიშვილის ქმარმა რამდენჯერმე დაკარგა და ისევ იპოვა თავისი ხაბუთები. მას ჰქონდა საშვი, მაგრამ სადღაც ჩაიდო და ახლა, მთლად გაოფლიანებული, ჯიბეებში ნერვიულად აფათურებდა ხელებს; როგორც იქნა იპოვა. მერე მან საშვი მეორე ჯიბეში ჩაიდო და კვლავ შეუდგა მის ძებნას. სახეზე ოფლი დაასხა, თმა დაუხუჭუჭდა და მთლად გაწითლდა. ახლა ისე ჩანდა, თითქოს მას აკლდა, მთლად პატარა რომ გგონებოდათ, არა მარტო სასკოლო ჰალსტუხი, არამედ ქუდიც, როგორსაც დაბალი კლასების მოსწავლეები ატარებენ. ამბობენ, რომ განცდები ადამიანებს აბერებსო, მაგრამ ამ გასროლამ ის ათი წლით გააახალგაზრდავა.

ხანამ ჩვენ ვიცდიდით, გაბედულ ქალიშვილს ვუთხარი, რომ ამ ამბავიდან შეიძლება საკმაოდ კარგი მოთხრობა გამოვიდეს და ალბათ, მე მას ოდესმე დავწერ. მაგალითად, როგორ გამწკრივდა ის ექვსი კაცი და გაძვრა კარებში. განა ეს შთაბეჭდილებას არ ახდენს? ამან ქალიშვილი აღაშფოთა. მან თქვა, რომ ამაზე წერა არ შეიძლება, რადგან ეს ესპანეთის რესპუბლიკის საქმეს ზიანს მოუტანს. მე შევდავე, ესპანეთს დიდიხანია ვიცნობ-მეთქი და რომ ძველად, ჯერ კიდევ მონარქიის დროს, ვალენსიაში, ღმერთმა უწყის, რამდენი ხალხი დახვრიტეს და რომ რესპუბლიკის დამყარებამდე ახი წლით ადრე ანდალუზიაში ერთმანეთს ჩეხავდნენ დიდი დანებით (ამ დანებს იქ ნავაჯრებს უწოდებდნენ) და თუ ომის დროს მოწმე გავხდი ჩიკოტეს ბარში მომხდარი სეირისა, მე უფლება მაქვს დავწერო ამაზე, ვითომ ეს მომხდარიყოს ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, კიუსტეში ან მარსელში. ამას პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ალბათ ბევრი, ისე როგორც ეს ქალიშვილი, ფიქრობს, რომ ასეთ რამეზე წერა საჭირო არ არის, მაგრამ გერმანელი, ვგონებ, ფიქრობდა, რომ ეს საკმაოდ კარგი ამბავი იყო და მე მას ჩემი უკანასკნელი სიგარა მივეცი. ასე იყო თუ ისე, დაახლოებით სამი საათის შემდეგ პოლიციამ ჩვენ გაგვიშვა.

სასტუმრო „ფლორიდაში“ ჩემს გამო წუხდნენ, რადგან იმ დროს ქალაქს განუწყვეტლივ ბომბავდნენ და თუ თქვენ ფეხით ბრუნდებით ხოლმე სახლში, მაგრამ ბარების დაკეტვის შემდეგ, რვის ნახევარზე დაბრუნებული არ იყავით, თქვენზე უკვე წუხლის იწყებდნენ. სახლში დაბრუნება გამიხარდა და სანამ ელექტროლუმენზე ვახშამს ვამზადებდით, მე მოვყევი, თუ რა მოხდა ბარში. ჩემი მონათხრობი მოეწონათ.

ღამით წვიმამ გადაიღო. დილით მშრალი, ნათელი და ცივი ამინდი იდგა, ისეთი როგორიც იცის ხოლმე აქ ზამთრის პირას. პირველს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, მე ტრიალა კარიდან შევედი ჩიკოტეს ბარში ერთი ჭიქა ჯინისა და რაღაც გასამგრებელი სახმელის გადასაკრავად საუზმის წინ. ამ დროისათვის იქ ხალხი ცოტა იყო. ჩემს მაგიდასთან ბარმენი და ორი ოფიციანტი მოვიდა. ისინი იღიმებოდნენ.

— მკვლელი შეიპყრეს? — ვკითხე მე.

— დღეს ხუმრობით ნუ იწყებთ! — მითხრა ბარმენმა, — თქვენ ნახეთ, როგორ ესროლა?

— ჰო, — ვუთხარი მე.

— მეც ვნახე, — თქვა მან, — როცა ეს მოხდა ზუსტად აი, იქ ვიდექი, — მან კუთხეში მდგომ მაგიდისკენ მიუთითა.

— რევოლვერის ტუჩი პირდაპირ მკერდზე შიადო და ესროლა.

— ხალხი კიდევ დიდხანს გაიჩერეს?

— თითქმის ღამის ორ საათამდე.

— ისინი მხოლოდ დილის თერთმეტი საათისათვის გამოცხადდნენ fiambre-ს გამო. ბარმენმა გვამს ესპანური ეარგონული სახელი უწოდა, რაც მენუეში ცივ ხორცს ნიშნავს. მაგრამ, თქვენ, ალბათ, ჯერ კიდევ უველაფერი არც იცით.

— არა, საიდან უნდა იცოდეს, — თქვა ერთ-ერთმა ოფიციანტმა.

— მართლაც გასაოცარი საქმეა, — დაუმატა მეორემ, — იშვიათი შემთხვევაა.

— ამავე დროს, სამწუხაროც, — თქვა ბარმენმა და თავი გადაიქნია.

— დიახ, სამწუხაროც და საოცარიც, — თქვა ოფიციანტმა, — ძალიან სამწუხარო.

— მიამბეთ.

— ძლიერ იშვიათი შემთხვევაა,—თქვა ბარმენმა.

— მაშ, მიამბეთ, მომიყევით.

ბარმენი მინდობილად გადმოიხარა ჩემსკენ და მითხრა:

— თქვენ გესმით, იმ პულვერიზატორში თურმე ოდეკოლონი ესხა, აი, უბედური!

— ხედავ? და არც ისე სულელური ხუმრობა იყო ეს, — თქვა ოფიციანტმა.

— რასაკვირველია, ამას იგი მხოლოდ გასაცინებლად აკეთებდა, არ უნდა გაჯავრებულიყვნენ ამის გამო, — თქვა ბარმენმა, — უბედური კაცი.

— გესმის, — ვთქვი მე, — მაშასადამე, მას ყველას გართობა უნდოდა.

— როგორც ჩანს, — თქვა ბარმენმა, — და რა საჭირო იყო ასეთი სამწუხარო გაუგებრობა.

— მის პულვერიზატორს რა უყვეს?

— პოლიციამ წაიღო, ოჯახს გაუგზავნეს.

— წარმომიდგენია, როგორი კმაყოფილი იქნება ოჯახი, — ვთქვი მე.

— დიახ, — თქვა ბარმენმა, — რასაკვირველია, პულვერიზატორი ყოველთვის გამოდგება.

— ნეტავ, ვინ იყო იგი?

— მეავეჯე.

— ცოლიანი?

— ჰო, ცოლი პოლიციელებთან ერთად მოვიდა დილით.

— მერე რა თქვა?

— გულზე დაიცა მიცვალებულს და სულ ასე გაიძახოდა: „პედრო, ეს რა უქნიათ შენთვის, პედრო? ვინ გიყო ეს? ოჰ, პედრო“.

— მერე კი პოლიციამ წაიყვანა ის, რადგან უკვე თავს ვეღარ იკავებდა, — თქვა ოფიციანტმა.

— ამბობენ, რომ მას ფილტვები სუსტი ჰქონდა, — თქვა ბარმენმა, — ის იბრძოდა აჯანყების პირველ დღეებში; იბრძოდა სიერას მთებში. მაგრამ მერე ვეღარ შეძლო, ფილტვების სისუსტის გამო.

— გუშინ კი ბარში მოვიდა იმიტომ, რომ ხალხი კარგ გუნებაზე დაეყენებინა, — ვივარაუდე მე.

— არა, — თქვა ბარმენმა, — ეს ნამდვილად იშვიათი შემთხვევაა, ყველაფერი არის muy raro. ამის თაობაზე მე პოლიციელებს გამოვკითხე. პოლიციელები კი ერთობ ჩაკირკიტებული ხალხია, საქმეს ხელს თუ მოჰკიდებენ. პოლიციელებმა დაკითხეს მის ამხანაგებს, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ სახელოსნოში. სახელოსნოს კი მიაგნეს პროფკავშირის იმ ბარათის მიხედვით, რომელიც ჯიბეში აღმოაჩნდა. გუშინ მას უყიდია ის პულვერიზატორი და ოდეკოლონი, რომ ვიღაცის ქორწილში ეხუმრა. ყოველივე ეს უყიდია ქუჩის მეორე მხარეს. მისამართი კი ოდეკოლონის ფლაკონის იარლიყზე ეწერა. თვით ფლაკონი საპირფარეშოში იპოვეს. ოდეკოლონი იქ ჩაუხხამს პულვერიზატორში. აქ კი ალბათ, მაშინ შემოვიდა, როდესაც წვიმა დაიწყო.

— მე მახსოვს, როგორ შემოვიდა აქ, — თქვა ერთ-ერთმა ოფიციანტმა.

— აქ მღეროდნენ და მხიარულობდნენ, ისიც გამხიარულდა.

— ჰო, მხიარული ვინმე იყო ნამდვილად, — ვთქვი მე, თითქოს მას ფრთები ჰქონდა გამოსხმული.

ბარმენმა ულმობელი ესპანური ლოგიკურობით წარმოთქვა:

— აი, მხიარულება, როცა სუსტ ფილტვებიანი სვამს მაგარ სასმელს.

— მე არ მომწონს მთელი ეს ამბავი, — ვთქვი მე.

— უური მიგდეთ!, — თქვა ბარმენმა, — განა საოცრება არაა? მისი მხიარულება, როგორც პეპელა ისე დაეჯახა ომის სერიოზულობას.

— სწორია! ნამდვილი პეპელაა, — ვთქვი მე.

— მე არ ვხუმრობ, — თქვა ბარმენმა, — გესმით? როგორც პეპელა და ტანკი.

შედარება მას ძალიან მოეწონა, ის ნამდვილ ესპანურ მეტაფიზიკას მიეცა.

— დავლიოთ აქაურობის სადღეგრძელო, — თქვა მან, — თქვენ ამაზე მოთხრობა უნდა დაწეროთ!

მე გამახსენდა ის პულვერიზატორიანი ახალგაზრდა კაცი, მისი სანთლისფრად ჩაყვითლებული სახე, მისი ფართოდ გაშლილი ყვითელი ხელები, მისი მოკეცილი ფეხი. იგი მართლაც ჰგავდა პეპელას. მაგრამ არც თუ ისე ძალიან. მაინცდამაინც არც ადამიანს ჰგავდა. მოკლედ, მე იგი მკვდარ ბეღურას მაგონებდა.

— დამისხით ჯინი, — ვთქვი მე.

— თქვენ უსათუოდ უნდა დაწეროთ ამაზე მოთხრობა, — თქვა ბარმენმა, — გაგიმარჯოთ.

— თქვენც გაგიმარჯოთ, — ვთქვი მე, — წუხელის კი ერთმა ინგლისელმა გოგომ მითხრა, არ უნდა დაწეროთ ამაზე, თორემ ეს საქმეს დიდ ზიანს მოუტანსო.

— რა სისულელეა, — თქვა ბარმენმა, — ეს ძალიან საგულისხმო და მნიშვნელოვანიც არის. გაუგებარი მხიარულება ეჯახება საშინელ სერიოზულობას. ხოლო ჩვენთან ყოველთვის ასე მომაკვდინებლად სერიოზულები არიან. ჩემთვის ეს, თუ გნებავთ, ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო და უიშვიათესი შემთხვევაა ამ ბოლო დროს. თქვენ აუცილებლად უნდა დაწეროთ ამაზე.

— კეთილი, — ვუთხარი მე, — დავწერ... მას ბავშვები ჰყავდა?

— არა, — თქვა მან, — მე პოლიციელებს ვკითხე! თქვენ აუცილებლად უნდა დაწეროთ და დარქვათ „პეპელა და ტანკი“.

— კარგი, — ვთქვი მე, — დავწერ, მაგრამ სათაური მაინცდამაინც არ მომწონს.

— დიდებული სათაურია, — თქვა ბარმენმა, — ძალიან ლიტერატურული.

— კეთილი, — ვთქვი მე, — თანახმა ვარ დავარქვა ჩემს მოთხრობას „პეპელა და ტანკი“.

მე ვიჯექი იქ, იმ ნათელ მხიარულ დილას. სასიამოვნო სისუფთავე სუფევდა ახლად გამოგვილ და განიავებულ ბარში. გვერდით მეჯდა ჩემი ძველი მეგობარი ბარმენი, რომელიც დიდად კმაყოფილი იყო, რომ ჩვენ ერთად ვქმნით ლიტერატურას. მე მოვსვი ერთი ყლუპი ჯინი; ვიცქირებოდი სილიანი ტომრებით ამოვსებულ ფანჯარაში და ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ იყო აქ დაჩოქილი ქალი მოკლული ქმრის ცხედართან და გიჟივით: „პედრო, პედრო, ვინ გიყო შენ ეს, პედრო?“ და მე გავიფიქრე, პოლიცია მაშინაც კი ვერაფერს უპასუხებდა ამ კითხვაზე, კიდევაც რომ სცოდნოდა სახელი იმ კაცისა, ვინაც ტუვია დაახალა მის ქმარს.

ინგლისურიდან თარგმნა

ანა რატიანმა.

პოეტი და რედაქტორი

„არ შემეძლო ყოველდღე არ შემეტყო შენთან; იგი იყო იმ ხანებში ჩემი პოეზიის მეზობელი, ჯერედ მისი. საწოლი მაკლდა გადამეტანა, თორემ მთელ დღეებს რედაქციაში ვატარებდი“, — ასე იგონებდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელ არჩილ ჯაჯანაშვილს.

ამ უანგარო, უპრეტენზიო ადამიანს, იოსებ გრიშაშვილის გარდა, სხვა მწერლებიც ემადლიერებოდნენ. ლ. ქიაჩელი და გ. ლეონიძე ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც იგი იჩენდა თავისი დროის ახალგაზრდა მწერლებისადმი.

პოეტსა და რედაქტორს შორის მეგობრული ურთიერთობა არც შემდეგში შეწყვეტილა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ი. გრიშაშვილის ერთი წერილი არჩილ ჯაჯანაშვილისადმი:

„სალამი ჩემო არჩილ! როგორ ხარ? მე ისევ ვწაღვერობ, მაგრამ ძველებურად ვერ ვარ გუნებაზე. ჯერ ტყე არ მინახავს, სულ სახლში ვარ. ეწერ! „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემას“ — (აი შარშან რომ მოხსენების სახით წავიკითხე თბილისში). სახელგამი ბეჭდავს და მეც არ მინდა პირი შევირცხვინო. სექტემბერში უნდა ჩავაბარო, როგორც გწერდი, ე. ი. აი ახლა წერის პროცესში ვარ.

უკვე ვგრძნობ — შენ როგორც ჩემს ძმას, ჩვენს მასწავლებელს და ჩემს რედაქტორს, რა მოგეწონება და რა არა! რა მიყვარს შენი მწერლური ალღო, ენის მოქნილობა და რედაქტორული სკალპელი!“

საინტერესოა იოსებ გრიშაშვილის მეორე წერილიც რედაქტორისადმი:

„არჩილ! თბილისში მინდა ჩამოვიდე ერთი დღით. წიგნები მინდა წამოვიღო ჩემი შრომისათვის და ზოგიერთი წყარო ხელახლა შევამოწმო არქივიდან. თუ მომწერ, რომ შენ თბილისში ხარ, მაშინ უფრო ხალისიანი ჩამოვალ, თუ არა და არ ღირს მარტო ამისათვის თავის შეწუხება.

მიხვდები რატომ ვამბობ ამას: ჩემი შრომის („ძველი ლიტერატურული ბოჰემის) დაწერა დავასრულე. ახლა მინდა თეთრად გადავწერო და რომ მერე სუფთად გადაწერაში არ შევიტანო ცვლილებები, სჯობია ამ შავს გადახედო სულ რამდენიმე ადგილას, ნახევარ საათს დროს წაგართმევს, კარგი? მაშ, მომწერე თბილისში ხარ?.. თუ თბილისში ხარ, როდემდი დარჩები. შენი სოსო“.

არჩილ ჯაჯანაშვილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთი წიგნის თავფურცელზე მას წაუწერია:

„ძვირფას არჩილს, რომლის ხელმძღვანელობით დავიწყე მწერლობა. პატივისცემით და სიყვარულით“.

თუ რამდენად დაახლოებული იყო პოეტი თავის რედაქტორთან, ამას გვიჩვენებს იოსების მიერ არჩილისადმი მიძღვნილი წარწერა თავის ახალგაზრდობის სურათზე.

„მეგობარო არჩილ! ნება მიბოძეთ მეგობარი გიწოდოთ, ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ შენში და ოლოლში ვპოვე სისპეტაკე. მიიღე ეს სახიერება, არ დამივიწყო“.

ოლოლი — მსახიობი ქალი იყო, იოსებ გრიშაშვილის ახლობელი და მისი გატაცების საგანი. მკითხველისათვის ცნობილია ამ ქალისადმი მიძღვნილი პოეტის შესანიშნავი ლექსი „ოლოლი“. ეს ლექსიც პირველად არჩილ ჯაჯანაშვილმა გამოაქვეყნა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე.

არჩილ ჯაჯანაშვილი, ეს შესანიშნავი მწერალი და რედაქტორი მუდამ მხარში ედგა ახალგაზრდობას. როგორც ვხედავთ ჩვენს საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს არ მოკლებია მისი სითბო და სიყვარული, რომელიც ასე საჭირო იყო იმ დროის ახალფეზადგმულ პოეტისთვის.

ნინო ჩიხლაძე

ოთხრობა

რიმა ლეზგიშვილი

ქალაქი გაათავისუფლეს.

— შვილებო! შვილებო!

სადღა არიან შენი შვილები?!

ათასფერი შუშხუნა სიბნელეს სჭრის, ზეცისაკენ მიიწევს, იგრიხება, იკლაკნება და ისევ მიწისაკენ ეშვება, დნება, ქრება.

მანქანები, მანქანები...

უკრავენ, ცეკვავენ, შეერიან...

ნახევრად ნანგრევებად ქცეულ სახლში ქალი რაღაც ბედზე გადარჩენილ ღუმელს უჩხიკინებს და მწარე ფიქრებს მისცემია. ძვალტყავად ქცეულ მხრებზე შავი დაძონძილი თავშალი მოუხურავს. დარდით და სევდით ჩამუქებულ, ჩავარდნილ თვალებში ისეთ გულისტკივილსა და უბედურებას დაუსადგურებია, რომ თვალს ვერ გაუსწორებ და თუ შეხედე, დაგწვავს, დაგდაგავს. სიცოცხლისა შეგრცხვება.

წვიმს, წვიმა ქვეყნის წალეკვას ლამობს.

რის ვაი-ვაგლახით დიდ მუხის კუნძს ცეცხლი წაუკიდა. არაფერს ზოგავს. უნთებს და უნთებს ნაფოტებს, უფრო აღვივებს, ახელებს ისედაც გავარვარებულ მუხას. ყვითელი, წითელი, თეთრი ალების შმაგ ცეკვას აპყოლია და მათსავით ცახცახებს, თრთის, ფართხალებს გული.

იქნებ ავად არის? იქნებ მშიერია?..

შეიძლება... მაგრამ ახლა არც ერთსა გრძნობს და არც მეორეს.

რაღაც ძლიერს, შემაძრწუნებელს შეუპყრია და აწვალებს, აწამებს. დგას ცეცხლის წინ და ამ დიდი მუხის კუნძივით შიგ გულში უკიდია ცეცხლი. ალის ენები გადაბმულან, ფერხული გაუბამთ. გარს ერტყმიან კუნძს, ეხვევიან, ლოკავენ. გული ეწვის და არ იწვება. საგულეში არ ეტევა — ბორგავს, ცახცახებს. დგას ქანდაკებასავით, უყურებს და ვერ ხედავს, უსმენს და არ ესმის, ფიქრობს და არ ეფიქრება. მუხის კუნძივით იწვის, იწვის...

მანქანებმა ჩაიქროლეს. თან წაიყოლიეს ხმაური, შეძახილები, სიმღერა.

— დედა, წყალი! ღვთის გულისათვის, წყა-ლი!

ვიღაც მოცოცავს, ცეცხლის ანარეკლში იკლაკნება, ულონოდ კვნესის.

— წყალი, წყა-ლი!

— წყალი?! წადი, იმ მეხერს გასცდი. იქ გუბე დგას და დალიე. რატომ არ მიდიხარ? არ გეკადრება? მამაჩემს კი დაალევინეს. ერთხელ უარი თქვა და წვერით დაჰკიდეს. გესმის, წვერით დაჰკიდეს...

— დედა, დედა... მიშველე, სისხლისაგან დავიცალე...

— შველა რომ შემეძლოს, ჩემს შვილებს ვუშველიდი, ჩემს ბიჭუნას, გოგონას. ისინი სულ ხუთი წლისანები იყვნენ, ტყუპები. ბევრი ბავშვი გაიტაცეს. ჩემები კი ხარდაფში დავმალე. გაიგეს. შემოგვიცვივდნენ. ჩემს თვალწინ... ავტომატით... გესმის, ავტომატით. სისხლი სდიოდათ... გაოცებული თვალებით შემომყურებდნენ. აი, ხომ ხედავ ამ ალებს, ეს მათი ანარეკლია. ეს, თეთრი, ჩემი ბიჭუნასი, ეს კი, ყვითელი, ჩემი ოქროსკულულა გოგონასი.

— მცივა, მცივა, დედა-ა-ა!

— გცივა?! ჰო, მაშინაც ზამთარი იყო... დედაჩემი და ბევრი სხვა მოხუცი წაიყვანეს. ქარი უშველებელი ურჩხულივით ღმუოდა, ზუზუნებდა. ციოდა. მერე თოვლი მოვიდა. მსხვილად ბარდნიდა. მოხუცების ისედაც გათოშილ სხეულს ფარავდა. პირუტყვებივით მანქანაში შერეკეს. წაიყვანეს.

— დედა, დედა!

— ჩემი ძმაც დედას უხმობდა. ... მაშინაც თოვდა, დაიჭირეს, გაიშიშვლეს. წყლის შადრევანი მიუშვეს... თოვლი კი სულ მოდიოდა... ზედ ეყრებოდა.

— დედა, აქეთ რომ მოვდიოდი, თხრილში ჩავვარდი. დაჭრილი ფეხი ძლივს ამოვათრიე. მიშველე, ჩექმა გამაძრე.

— თხრილშიო?! ჰო, ეგ თხრილი ტყვეებს ამოათხრევინეს. მერე გაამწკრივეს და ტყვიამფრქვევით მოცელეს. ჩვენ კი, მათ ნათესავებს, ზედ მიწა მიგვაყრევინეს...

— დედა! დე-და-აა! — ხასოწარკვეთით წამოიძახა დაჭრილმა.

ოდნავ წამოიწია, ქალს გაფითრებული სახე და დასანთლული ხელები გაუწოდა და უგრძნობლად დაეცა.

ქალი შეკრთა, უეცრად გამოერკვა. ნუთუ თავის ბოლმას და ნაღველს ვიღაცას უზიარებდა?!

მუხას კაშკაშა სხივი მოსწყდა და დაჭრილი მოწითალო ალში გაეხვია. ჯერ აწეწილ ქერა თმას გაეთამაშა, სულ ნორჩ სახეს მოეფერა. მერე გერმანელი ჯარისკაცის სამხრეებს, მაზარას, დაცრეცილ ჩექმებს გადაუარა და ბოლოს კლაკვნით მაღლა ავარდა და დედის თვალებში დაიბუდა.

იმ ალმა ქალი აშალა, ალეწა. სულ ერთი წამით თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მყისვე თითქოს რაღაც უშველებელი ძალა შეემატაო, ისე იოლად და სწრაფად აამოძრავა. ჯერ ქვას ეცა, მერე რკინას და რასაც ხელი წაავლო, ყველაფერი ეპატარავა იმ უძლეველი ტკივილის, იმ ტანჯვა-ვაების დასაოკებლად, რომლითაც სავსე იყო მთელი ქვეყანა.

და რაკი ბობოქარი სული ვერაფრით დაიცხრო, დაბლა დაენარცხა, ატირდა, მერე უნებლიეთ მხრებიდან თავშალი მოიგლიჯა, გათოშილ ჯარისკაცთან მიჩოჩდა, მოახურა, წამოდგა და გარეთ გაიჭრა.

ის დედა იყო, და იყო.

ეთერ სამხარაძე

ადრე თუ გვიან...

ადრე თუ გვიან,
ადრე თუ გვიან,
შენც მოგწყინდება
ქართან თარეში...
ადრე თუ გვიან,
ადრე თუ გვიან
ვიცი, ჩამხედავ
მართალ თვალებში;
ადრე თუ გვიან,
ადრე თუ გვიან,
მზე შენგან წახულს
წამართმევს ძალას
და ისიც ვიცი,
შენვე მომაწვდი
ბალახებიდან
გამოხდილ წამალს...
ამ ჯარსკვლავიან
ლურჯ ღამეს რა სჯობს,
რეკავს ყანში და
დრო კი არ იცდის...
ახწიე თავი,
მაშ. გაუმარჯოს
სიტყვას ღღეის და
სითბოს ხვალის დღის.

მეც ჩემებურად

აბა რა გითხრა,
რაც არ გითხრეს
შენმა მგოსნებმა,
რასაც ოდითგან
არ გიმღერდნენ
მუდამ ოცნებით,
ჩემი ქალობის
და სიცოცხლის
გახხივოსნებავ,
მეც ჩემებურად
თუ გიმღერო,
ნუ გაოცდები,
მეც თან მაქვს ლექსი,
ვით ამ დღეთა
ერთი საგზური,
თუმც პოეტობას
სულაც არ ვჩემობ...
მათი ზღვა ლექსის
მტევნებიდან გამონაყური
მიიღე წვეთი,
ჩემი ლექსი,
მამულო ჩემო!

ილია აროსია

მიდიან დღენი

ახე მშვიდად რომ
მიდიან დღენი,
აღმოსავლეთის
ცა სითბოს მწყუ ლობს,
მსურს ცეცხლი უფრო
მომედოს შენი,
გულსაც უწოდონ
— მისით დამწვარო!
შემოგხვდე მინდა
ცივად და გულმხნედ
ვითარც ყინვაში
ფარფატი თოვლის
და შემდეგ მხოლოდ
თვალებს გავუმხელ
მზეზეს სიცივის
და სიმარტოვის.

სიცოცხლე

ჩამიდგა სული
და სადღაც დადის,
მხოლოდ ფოთლების
შრიალი მესმის,
თითქოსდა მისი
მე ვიყო ლანდი,
იმ მზეთამზისა
ულამაზესის;
თითქოსდა ცამდე
მაღლდება სული,
როცა სანუკვარ
ფიქრს მივეცემი,
ფრთები ესხმება
გაფრენის სურვილს, —
ლტოლვას, სხვისაა
იგი თუ ჩემი.
არა ჩანს ახლო,
და სადღაც დადის...
ფოთოლთშრიალი
ნანინად მესმის, —
მაკუთვნოს ლხენა
და არა დარდი,
მოულოდნელად
ჩამძიროს მზეში.

ჯესჯრი ჯელოლიები

წიგნებით სავსე მაგიდაზე მაგნიტოფონის 24 ბობინა აწყვია. მთელი ფირის მოსმენას 40 საათი მაინც სჭირდება. ოთხ საქაღალდეში მანქანით ნაბეჭდი 800 გვერდი ძლივს ეტევა; ფირზე აღბეჭდილია ჯერ სრულიად უცნობი ძველი მესხური და ჯავახური ხალხური სიმღერები, საქაღალდეებში კი სიმღერების მეცნიერული ანალიზი, შედარება, განვითარების გზები და სადაურობაა აღწერილი.

ეს დიდი ნაშრომი დაუღალავი ძიების, კვლევის, მრავალი უძილო ღამის და მესხეთ-ჯავახეთში ცხრა წლის სისტემატური მოგზაურობის შედეგია. მისი ავტორია ვალერიან მაღრაძე — კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე და ხალხური სიმღერების შემკრები.

ახალგაზრდობაში ვალერიანს თავის მოწოდებად ხეროსმომღვრება მიაჩნდა, შემდეგ მუსიკის სიყვარულმა სძლია და კომპოზიტორი გახდა. მუსიკა ბავშვობიდანვე უყვარდა. ყოველ ქართულ სიმღერას განაბული უსმენდა, მაგრამ ამ მელოდიებში ვერასოდეს პოულობდა იმ ჰანგებს, დიდედამ რომ იცოდა. მოხუცის სიმღერებიც ქართული იყო, მესხური.

გადიოდა დრო. დიდედა აღარ იყო ცოცხალი. მაგრამ მაღრაძე დარწმუნებული იყო, რომ ასეთი სიმღერების მცოდნენი მესხეთ-ჯავახეთში სხვებიც იქნებოდნენ, თითო-ოროლა ხანდაზმული კაცი — სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს რომ ითვლიან. ეს ფიქრი მას ყოველთვის აწვალებდა, ოცნებობდა თავის ბაშბლიურ კუთხეში ემოგზაურა, საყვარელი სიმღერები ეძებნა... და როდესაც კომპოზიტორის დიპლომი აიღო, პროფესიონალის პასუხისმგებლობა მთელი არსებით შეიგრძნო. მას მესხური სიმღერების ბედზე ფიქრი დაემატა. მის წინ ორი გზა იყო: ერთი მოკლე — ძიებისა, რომელსაც მოვალეობად თვლიდა, მეორე დიდი, შემოქმედებისა — ეს მოწოდება იყო. გზების არჩევანის ვარიუდში საფორტეპიანო კონცერტი და ოცამდე საგუნდო-საორკესტრო ნაწარმოები შექმნა. რადიოში და კონცერტებზე მისი სახელიც გაისმა, მაგრამ მოვალეობისა და ძიების გზამ სძლია და 1961 წელს მესხეთს მიაშურა.

გამგზავრების წინ პროფესორი შალვა ასლანიშვილი ინასულა და განზრახული გაანდო. ასლანიშვილმა განზრახვა მოუწონა და დასძინა, — საქართველოს ამ კუთხის მუსიკალური ფოლკლორიდან სულ ექვსიოდე მელოდიაა ცნობილი. ყოველი ახალი აღმოჩენილი სიმღერა დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. სამსაც რომ მიაკვლიო, მიღწევა იქნება.

პირველმა მოგზაურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი განსაცვიფრებელი გამოდგა. ვ. მაღრაძემ 27 სრულიად უცნობი ჰანგი ჩამოიტანა და შ. ასლანიშვილი მოიწვია. ეს უდიდესი საუნჯეა, — თქვა მან სიმღერების მოსმენის შემდეგ და კომპოზიტორს გამარჯვება მოულოცა.

— რა იყო თქვენს მუშაობაში ყველაზე ძნელი? — ვეკითხები კომპოზიტორს.

— სიმღერის მცოდნეთა მიკვლევა, — ამბობს იგი, — შემდეგ მათი უარი, — აღარ მახსოვს, კიდეც რომ მახსოვდეს მარტო რას გავხდებიო. ამის შემდეგ მაღრაძე მოხუცს თავის თავს აცნობდა, რომ ის აქაურია და რომ მესხური სიმღერები იკარგება, ავიწყდებათ, და რომ მათი ჩაწერა აუცილებელია. ასე დაითანხმა მან ჭობარეთელი 103 წლის მიხა ჯვარიძე. მისგან თორმეტი მელოდია ჩაწერა. აქედან რვა სუფრულია. მის მეტმა ეს სიმღერები არავინ იცოდა. სოფელ სუროში 70 წლის ლ. მჭედლიშვილმა „მუმლი მუხასა“ ჩაუმღერა, მესხელმა 70 წლის გ. მაისურძემ — ფერხული „დიდება“, 76 წლის ანდრიაწმინდელმა ვ. ინასარიძემ — ფერხული „ოქრომჭედელი“, ზოგს ჯავახეთის სოფლებში — კოთელიაში, ჩუნჩხში და სხვაგან მიაკვლია.

— მცოდნეს რომ მოვძებნიდი, ვიწყებდი ჩაწერას, — ამბობს კომპოზიტორი, — ყოველი სიმღერა მრავალხმიანი იყო. შემსრულებელი კი ერთი, და ვწერდი ამ ერთ ხმას. ეს იყო მეტად საინტერესო და ამაღელვებელი პროცესი. ვგრძნობდი იმ ადგილებს, სადაც სიმღერას მეორე ხმა და ბანი უნდა შეერთებოდა. ამას მომღერალიც მანიშნებდა. ხშირად ქართული და თურქული მელოდიები ერთმანეთში არეული იყო. ძნელად შეინიშნებოდა სხვაობა. მიხდებოდა ყველა ამ ჰანგის ჩაწერა, გაშიფვრა-დამუშავება. რამდენიმე წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ აუცილებელი შეიქმნა ამ საუნჯის მცოდნეთა თავმოყრა, მათი ურთიერთ გაბაასება და საერთო ენის გამონახვა. ამ მიზნით ასპინძაში ორმოცი მოხუცი ჩამოვიყვანეთ და ორი კვირის განმავლობაში მათთან ერთად ვამოწმებდით ჩაწერილ სიმღერებს. აი აქ ჩემთვის კიდევ ერთი საიდუმლოება გაიხსნა: დადგინდა, რომ ყველა მესხური სუფრული სამპირად სრულდებოდა — ანუ როგორც თვითონ მესხები ამბობენ, სამ ხანად იმღერებოდა. ასეთი რამ ჩვენში პირველი შემთხვევაა. ღაზუსტდა აგრეთვე მეტად საინტერესო და უნიკალური წესი სუფრისა, რომელიც სამ პერიოდად იყოფა: სუფრის გახსნა, ლხინში შესვლა და სუფრის დახურვა. ლხინის გარკვეულ სტადიაში მხოლოდ გარკვეულ სუფრულს მღეროდნენ. გაისმოდა სუფრის დახურვის შემოძახილები.

ჩაწერილი 800 მელოდიიდან ასი გამოიცემა; ამ სიმღერებს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. ყოველი სიმღერა ორი და უმეტესად სამხმიანია. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მხოლოდ ფორმალურად თუ დამჭირდება მეცნიერული დამტკიცება.

ვ. მაღრაძის ძიებანი ამით არ ამოწურულა. იგი პარალელურად რამდენიმე საყურადღებო აღმოჩენის ავტორია, რითაც ფილოლოგები და ქორეოგრაფები უნდა დაინტერესდნენ. სახელდობრ: სიმღერების ტექსტის ანალიზის დროს მან დაადგინა, რომ სამპირ სიმღერებში ტექსტი სამ სტრიქონიანი ლექსია დასრულებული აზრობრივი წყობით. პროფ. ა. გაწერელიას აზრით, ეს მოვლენა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. კომპოზიტორმა აქვე ჩაწერა ასზე მეტი უცნობი, ხმარებიდან გამოსული ქართული სიტყვა, შეადგინა მისი განმარტებითი და ტოპონომიკური ლექსიკონები. აღმოაჩინა სამი სრულიად უცნობი ფერხული: „საქორწინო“ — შვიდი წყვილის ფერხული, „მუნჯური“ — შეთქმულთა ფერხული, „სამხრებო“ — ორსართულიანი ფერხული, მიინიშნა ცეკვების ტემპების უცნობი დასახელებანი: „მძიმური“ (დინჯი), „ასაყოლებელი“ (საშუალო) და „ცქვიტური“ (სწრაფი).

ვ. მაღრაძე ხშირად გამოსულა საჯაროდ და წაუკითხავს ლექცია მესხეთ-ჯავახურ ხალხური ფოლკლორის შესახებ. ასეთი საღამოების და მისი ნაშრომების გაცნობის შემდეგ კომპოზიტორის ამაგი დიდად შეაფასეს აკადემიკოსებმა ი. აბაშიძემ, დ. შენგელიამ, გ. ჩიტაიამ, კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორებმა — შ. ასლანიშვილმა, პ. ხუჭუამ, ვ. გვახარიამ, მეცნიერების დოქტორებმა ბ. ჩიქოვანმა, ი. მეგრელიძემ და მრავალმა სპეციალისტმა.

— რა დასკვნამდე მიგიყვანათ ცხრა წლის შრომამ, რა შეიძლება ითქვას ამ სიმღერების წარმოშობისა და სპეციფიკის შესახებ. რა არის მათთვის დამახასიათებელი?

— გამოირკვა, რომ მესხურ-ჯავხურ მელოდიებს სავსებით ჩამოყალიბებული, მკაფიო სტრუქტურა და ფორმა გააჩნიათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მესხური სიმღერების დიდი ნაწილი დაფუძნებულია იავნანას, ამ უძველესი საკულტო საგალობლის, ტიპის მელოდიებზე. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს იავნანას მელოდია ორად გაიყო, ყოველმა მათგანმა მიიღო დამოუკიდებელი სახე და შექმნა დასრულებული ფორმა. ამიტომ მესხური სიმღერები ორ ჯგუფად იყოფა. მელოდიების სტრუქტურული ელემენტები, რომლებიც შედარებით მარტივი სახით გვხვდებიან მესხეთში, გაცილებით განვითარებული და გაფართოებული სახით არის ქართლ-კახეთში. ამის მიზეზია მესხეთში თურქთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობა, მან მოსპობის გზაზე დააყენა საერთოდ ქართული კულტურის ყველა მხარე. საფიქრებელია, რომ მესხური მუსიკალური კულტურა ქართლ-კახეთის წინა პერიოდს წარმოადგენს. ეს ადვილი დასაშვებია — მესხეთ-ჯავახეთი და ტაო-კლარჯეთი ხომ საქართველოს კულტურის აკვნად ითვლება.

— თუ მოისმინეს თქვენს მიერ დამუშავებული სიმღერა ძველმა მცოდნეებმა, — ვაძლევ ბოლო შეკითხვას კომპოზიტორს.

— როგორ არა. ბევრმა. განსაკუთრებით მაინტერესებდა ჭობარეთელი მიხა პაპად წოდებული, მიხა ჯვარიძის აზრი. მოხუცმა ძალიან მოიწონა „გუგუთისაი მინდორზედა“, „მუმლი მუხასა“. სიმღერამ „ვარძიობა ძიობასა“ ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ სუფრულის „წინ სუფრა ვარდით სავსე გვაქვს“ შესრულების დროს მოიღუშა, — ეგ ხომ სუფრულია, რას ჩქარობთ, არ შეიძლებაო.

ახლა ეს სიმღერები ხშირად გაისმის ეთერში.

აგული დადიანი

ახალი სიმღერის ჩაწერის დროს.

ერთწუთიანი შესვენება ჩახველებისათვის

ინგლისის ფელდმარშალი მეორე მსოფლიო ომის დროს, ბერნარდ მონტგომერი მუდამ სქელლანჩებიან ფეხსაცმელს ატარებდა, რომ მაღალი გამოჩენილიყო. იგი თავს იწონებდა თავისი ბერეტით, თუმცა ორჯერ უბრძანეს, არ ეტარებინა იგი, რადგან ასეთი ქუდი არ შეესაბამებოდა მის წოლებას. იგი არ სვამდა მაგარ სასმელებს, არ ეწეოდა თამბაქოს და გამუდმებით კითხულობდა ბიბლიას.

ყოველი თათბირის წინ, მონტგომერი, როგორც წესი, ოფიცრებს ორ წუთ დროს აძლევდა ჩახველებისათვის; თათბირის მსვლელობის დროს კი ყოველგვარი ჩახველება აკრძალული იყო (იშვიათად, ოფიცრებს, თათბირზე, ერთწუთიანი შესვენება ეძლეოდათ დახველებისათვის).

ყოველ კვირას მისი არმიის მთელ შემადგენლობას, მათ შორის გენერლებსაც, მონტგომერის ბრძანებით, ათი კილომეტრი უნდა გაერბინათ სერებსა და გორაკებზე. მონტგომერი ადრე წვებოდა დასაძინებლად. ერთხელ, როდესაც ჩერჩილმა ტელეფონით დაურეკა და უბრძანა დაუყოვნებლივ დაუნინგ-სტრიტზე (დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია) გამოცხადებულიყო შუაღამისას, მონტგომერმა უპასუხა:

— არ შემიძლია სერ. ამ დროს მე უკვე ვწევარ.

ერთის ნაცვლად ორი მონტგომერი

იმ ხანებში, როცა მოკავშირეთა ჯარები ევროპის კონტინენტზე უნდა გადამსხდარიყვნენ და მეორე ფრონტი გაეხსნათ, ინგლისის დაზვერვა სულ იმის ცდაში იყო გერმანელებს არ გაეგოთ, რომ დესანტი ნორმანდიაში უნდა გადმოსხდესო. ამასთან, ვერც ის უნდა გაეგოთ, რომ ჯარების გადასხმა ივნისის თვეში მოხდებოდა. მტრისათვის გზა-კვალის ასაბნევად ინგლისელებმა ათასგვარ ხერხს მიმართეს, და მათ შორის ერთი ის იყო, რომ ნამდვილი მონტგომერის ნაცვლად ინგლისში მეორე მონტგომერი გამოჩნდა.

მაისის ბოლოს, კრეალა მსუბუქმა მანქანამ ლონდონის ქუჩები გადასჭრა და გეზი ნორტჰოლტის აეროპორტისაკენ აიღო. ყოველთვის, როცა მანქანა შუქფარის წინ ჩერდებოდა, მის ირგვლივ ხალხი იკრიბებოდა. „სალამი მონტი, ძველო!“ — ყვიროდა ხალხი. მანქანიდან დამხვდურებს ხელისაწევით და თავაზიანი ღიმილით ესალმებოდა მთავარსარდლის ბერნარდ მონტგომერის ორეული — მსახიობი კლიფტონ ჯეიმსი.

კლიფტონ ჯეიმსი ძალიან ჰგავდა მონტგომერს. ერთხელ, იგი საიდუმლოდ გამოიძახეს და მონტგომერის ორეულის როლში გამოსვლა დაავალეს. სამი კვირის მანძილზე ჯეიმსი თან ახლდა მონტგომერს ყოველი თათბირის, თუ სამხედრო მეცადინეობის დროს და გულდასმით ეცნობოდა მას ახლოდან. მსახიობმა კარგად აითვისა მონტგომერის ბღენძიობა, თავის ამპარტავნული დაკვრა, ზურგს უკან ხელების შემოწყობა. ჯეიმსი პირადად ესაუბრებოდა მონტგომერს, გულდასმით ითვისებდა მის დუდღუნს და სიტყვის განსაკუთრებული გულისყურით შერჩევის მანერას...

და აი დადგა გენერალური რეპეტიციის დღე. მსახიობი მონტგომერის ნაცვლად სიტყვით წარსდგა დაზვერვის მაღალი რანგის ოფიცრების წინაშე. გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა.

ჰელო, მონტი, როგორა ხარ?

კლიფტონ ჯეიმსი სცენაზე გამოვიდა და წარმოდგენა დაიწყო.

და აი ჯეიმსი აეროპორტისაკენ მიეშურება. მას ჯიბეში უდევს ბიბლია (მას ხომ მონტგომერი არასოდეს არ იშორებს) და ცხვირსახოცების მთელი დასტა. ამ ცხვირსახოცებზე გულმოდგინედ არის ამოქარგული ინიციალები: „ბ. მ.“ (ბერნარდ მონტგომერი.) ჯეიმს გადაწყვეტილი აქვს, ცხვირსახოცები თანდათან „დაკარგოს“ თავისი მოგზაურობის დროს. მათ გერმანელი მზვერავები იპოვნიან.

არც ფინანსური მხარე დარჩა გაუთვალისწინებელი. მთელი იმ ხნის მანძილზე, ვიდრე ჯეიმსი მონტგომერის როლს ასრულებდა, მას გენერლის სრული ხელფასი ეძლეოდა.

კლიფტონ ჯეიმსს დავალებული ჰქონდა, გაფრენილიყო გიბრალტარში, სადაც მას ისეთი პატივით უნდა შეხვედროდნენ,

როგორიც მის მაღალ რანგს შეეფეროდა. გუბერნატორის ოფიციალურ რეზიდენციამდე ჯეიმსი ღია მანქანით უნდა წაეყვანათ, რათა გერმანელ ჯაშუშებს, რომლებითაც სავსე იყო გიბრალტარი, საშუალება მისცემოდათ კარგად დაენახათ „მონტგომერი“.

გუბერნატორი სერ რალფ ისტვუდი (მას ვაანდეს ეს საიდუმლო) და კლიფტონ ჯეიმსი წინასწარ მომზადებული დიალოგით უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს: „ჰელო, მონტი, ძალიან სასიამოვნოა შენთან ხელახლა შეხვედრა!“ „როგორ ცხოვრობ, რუსტი? შენ მშვენივრად გამოიყურები!“

წინდაწინვე იყო მომზადებული „მოულოდნელი“ შეხვედრა მონტგომერის როლის შემსრულებელსა და ორ ესპანელ მსხვილ მოხელეს შორის, რომლებიც, როგორც ცნობილი იყო, დაკავშირებულნი იყვნენ ჰიტლერელთა დაზვერვასთან. ისინი ჯეიმსის გვერდით უნდა აღმოჩენილიყვნენ იმ წუთებში, როცა იგი საუბარს დაიწყებდა საიდუმლო გეგმებზე და ხმელთაშუა ზღვის საფრანგეთის სანაპიროზე.

გერმანელებს არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ ესოდენ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციისათვის, რომ გენერალი მონტგომერი გიბრალტარში ჩავიდა მაისის ბოლოს და იქიდან თვითმფრინავით გაფრინდა ალჟირში.

მონტგომერი აფრიკაში გაემგზავრა, მაშასადამე, ლა-მანშზე ჯარების გადმოსხმა უახლოეს ხანებში გამორიცხულიაო, გადაწყვიტეს გერმანელებმა და ინგლისის დაზვერვასაც ეს უნდოდა.

სპეციალური დამთავრებულია

და აი, როცა მოკავშირეთა დესანტი. ჰიტლერელებისათვის სრულიად მოულოდნელად, საფრანგეთის სანაპიროზე გადასხა და ნორმანდიაში პირველმა ყუმბარებმა დაიქუხეს, ინგლის-ამერიკის ჯარების „მთავარსარდალს“ მშვიდად ეძინა კაიროს ფეშენებელური სასტუმროს „შენარდის“ ნომერში. იგი იმ წუთიდან აღარ იყო ფელდმარშალი მონტგომერი — და — ისევ მსახიობი კლიფტონ ჯეიმსი გახდა. მოკავშირეებმა შესძლეს მტრის მოტყუება, და გერმანელთა ყველა ჯაშუში და აგენტი, მაშინვე ჩამოვიდა სცენიდან, როგორც კი დაიხურა ფარდა სპექტაკლისა, რომლის მომზადებას უნებურად თვითონვე შეუწყეს ხელი.

მაგრამ საერთოდ, გადამწყვეტი როლი საბჭოთა არმიამ შეასრულა. ევროპაში შეჭრის დროს მოკავშირეთა წარმატება უმთავრესად იმან განაპირობა, რომ 1944 წლის ივნისში საბჭოთა არმია მთელი აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევაზე გადავიდა და დაიწყო ევროპის ხალხების განთავისუფლება ფაშისტთა უღლისაგან.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჩოგბურთის ჩემპიონი

როცა ბ-ნი შაბან-დელმასი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშნეს, ფრანგულმა ჟურნალმა „ტენის დე ფრანსმა“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ჩოგბურთში მისი პარტნიორის გ. პელიცას ინტერვიუ.

აი რას ამბობდა იგი:

— უკვე ათი წელია, რაც ჩვენი წყვილი — შაბან-დელმას — პელიცა წარმატებით გამოდის სხვადასხვა ტურნირებში. 1965 წლიდან დღემდე, ჩვენ საფრანგეთის ჩემპიონები ვართ.

მაბან-დელმასი კარგი პარტნიორია. მას საუკეთესო რეაქცია აქვს. თავისი ასაკის მიუხედავად — იგი 54 წლისაა — შაბან-დელმასი მოხდენილი და გააზრებული თამაშით მაყურებელთა აღტაცებას იწვევს.

კორტზე სწორედ შაბან-დელმასი ხელმძღვანელობს თამაშს და არა მე. ამასთან ერთად, იგი ყოველთვის მზად არის, მაპატიოს შეცდომები.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი საქმეებით დატვირთული ადამიანისათვის, ძალიან ძნელია თავისი საქმიანობა ჩოგბურთს შეუთავსოს. ჩემს პარტნიორს, ხშირად ნამდვილი ვირტუოზობის გამოჩენა სჭირდება, რათა დილით ბორდოში იყოს, დღის მეორე ნახევარში ჰოტელ მატინიონში — პრემიერის რეზიდენციაში იმუშაოს, ხოლო ამ შუალედებში რთული მატჩი ჩაატაროს პარიზში“.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მიმდინარე 1970 წელს კვლავ მოიხვეჭა ჩემპიონის ტიტული.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ბინდდებოდა. პირქუში ზეცა ძაძებში იმოსებოდა. შემოდგომის მაწანწალა ნიავ-ქარი ზუზუნით ეხეთქებოდა მეორე კლასის რესტორნის ფანჯრის მინებს.

მაგიდას ორნი ვუსხედით, მე და ის. რას ვაკეთებდით? ეგ რა საკითხავია? ჩაქაფულებს და ჩაშუშულებს შევექცეოდით. ჯერ ერთი საათიც არ იყო გასული, რაც იქ ვიყავით და უკვე მესამე ბოთლი ალადასტურის გამოცლა მოვასწარით. არა, მაინც რა ჯადო აქვს ამ დალოცვილ სასმელს. გადაჭრავ თუ არა, ჯერ ტკბილად შეგაურეოლებს, მერე ბუხარივით შეგახურებს, ბუმბულივით აგამჩატებს და მუნჯიც რომ იყო, ენას ამოგადგმევინებს.

ვსხედვართ ასე. უცებ ერთმა უცნობმა ჯენტლმენმა ჩვენს მაგიდას ორი ბოთლი თელიანი გამოუგზავნა, მეორემ, შედარებით უფრო უცნობმა, ოთხი ბოთლი თელიანი მოგვართვა. ნეტავი ვინ არიან-მეთქი, გავივლე გუნებაში. ალბათ, რომელიმე ინსტიტუტში შვილის მიღებაზე წავეხმარე, ან სამოთახიანი ბინის მიღებაზე წავუკარი ხელი. შეიძლება სულაც, სამსახურიდან ხსნიდნენ და დავაწინაურებინე. აბა, ტუუილად ვინ რას გამოგვიგზავნის! ეგეც არ იყოს, უველანი სიკვდილის შვილები ვართ, კაცს გაჭირვებაში უნდა გამოადგე, თორემ დალხინებაში უველა მამაცია.

ჩემი ფიქრები რესტორანში ატეხილმა ხმაურმა დაარღვია. მარჯვენა კუთხიდან ელვისებური სისწრაფით გამოქანებული თეფში შეასკდა მარცხენა კედელზე ჩამოკიდებულ მარჯნისფერ ბრას, და ორივე ნამსხვრევებად იქცა. შეიქმნა ერთი ორომტრიალი, ესტრადა ბარიკადებად გადაიქცა; ორი კარგად ჩაცმული, ინტელიგენტური აღნაგობის კაცი ნიჩაფივით ტორებს ერთმანეთს უმოწყალოდ უბაგუნებდნენ და თან უშვერი სიტყვების წარმოთქმას არ ერიდებოდნენ. მილიციელმა, რომელიც დროულად გაჩნდა ადგილზე, მოჩხუბრები კინწისკვრით გაუყარა რესტორნიდან. „არამზადები, აი ვინ გვარცხვენს ჩვენ და სახელს გვიტეხავს“ — გავიფიქრე მე და კვლავ ოცნებაში ჩავიძირე.

დროდადრო ნაღველი ეუფლებოდა ჩემს სულს და სადღაც იდუმალებით სავსე სამყაროში ვინთქმებოდი.

მე შავთვალა მაუვალაზე მწარე ფიქრები მიღრღნიდა გულს. ჩემი თანამესუფრე თავის მდიდარ საცოლეზე ოცნებობდა. არ ვიცი, იქნებ ვცდები და სულ სხვა ვინმეზე ოცნებობდა. ან შეიძლება სულაც არ ოცნებობდა. ეგეც არ იყოს, რა ჩემი საქმეა, ვისაც რაზე უნდა, იმაზე იოცნებოს, მე ჩემი დარდიც მეყოფა. ბოლოს და ბოლოს, უველა თავის ჭიას ახარებს. მე შარაფი და დროსტარება მიტაცებს. დიახ, ღვინოა ჩემი კრედო, ალფა და ომეგა. თუმცა ეს ბოთლი ნოლ სამოცდათხუთმეტიანია. უწინ კვარტიანები იყო ხოლმე ხმარებაში, მერე ლიტრიანები. ეჰ! რაც იყო, იყო. იყო და აღარ არის. მალე, ალბათ, ნახევარლიტრიანებში ჩამოასხამენ. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს რაში ჩამოასხამენ. მთავარი ის არის, თუ სად ჩაასხამენ, ალბათ, ტექნოლოგებიც ამაზე ოცნებობენ.

ამ თეთრხალათიან მიმტანსაც ალბათ, თავისი ოცნება აქვს. ეცდება ზედმეტი ფარა ამწაპნოს. მე კი სულ იმაზე ვოცნებობ დანახარჯი ზუსტად გადავუხადო. ვნახოთ ვისი ოცნება აჯობებს!

დროსტარება მოვათავეთ. მიმტანი ვიხმე, ანგარიში მოვთხოვე. თეთრხალათიანმა ხმის ამოღება ვერც კი მოასწრო, რომ ამ დროს ჩემმა თანამესუფრემ ხელი ჯიბეზე გაიკრა, გინდა თუ არა დანახარჯი მე უნდა გადავიხადოო. — არავითარ შემთხვევაში, პურმარილს ნუ დამიწიხლავ-მეთქი შევძახე. შეიქმნა ერთი მიწევ-მოწევა, ვატყობდი ჩხუბი გარდაუვალი იყო; ამ დროს თეთრხალათიანი მიმტანი მოგვიახლოვდა და გვითხრა:

— დაწუნარდით ბატონებო, ანგარიში პირწმინდად გადახდილია.

— ვინ გადაიხადა? — თითქმის ერთდროულად წამოვიძახეთ ჩვენ.

— ვინ და მილიციაში წაბრძანებულმა იმ ორმა მუტრუკმა, რომლებმაც თქვენი მაგიდის დანახარჯის გადახდისათვის ერთმანეთს ცხვირიდან ბოლი ადინეს, გინდა თუ არა დანახარჯი მე უნდა გადავიხადოო.

თენგიზ პირველი

იუმორი

რძე და არითმეტიკა

— რამდენ ლიტრს იწველის თქვენი ძროხა?

— ათ ლიტრს.

— მერე, რას უშვრებით ამდენ რძეს?

— ორ ლიტრს მე ვსვამ, ხოლო დანარჩენ თოთხმეტ ლიტრს ბაზარზე ვყიდით.

ვისი ბრალია

დაბადების დღეს მამამ თავის ბიჭუნას თუთიყუში უყიდა. ორი დღის შემდეგ მშობლებმა გაიგონეს, რომ თუთიყუში უწმაწური სიტყვებით იგინებოდა.

მამამ დაუძახა შვილს და უთხრა:

— ბიჭო, ეს რაები გისწავლებია ფრინველისათვის, არ გრცხვენია?

— რა ჩემი ბრალია, მამიკო, პირველად მან გამლანძღა — შე ცხვირმოუხოცელო ძაღლის ლეკვო!

ასეთი ტურისტებიც არიან

ერთი კაცი ტურისტული საგზურით ეწვია საფრანგეთს. მას გაგონილი ჰქონდა, რომ პარიზში, უპირველეს ყოვლისა, ლუვრი უნდა ინახულო. შევიდა, დიდხანს უცქირა ლეონარდო და-ვინჩის „ჯოკონდას“ და ბოლოს ჩაიქნია ხელი:

— განა სისულელე არ არის? დახარჯო ამდენი ფული, წამოხვიდე ასე შორს და რის გულისთვის? ინახულო სურათი, რომელიც სამზარეულოში უკიდია შენს მეზობელს.

— უმაწვილო, შენ უმაღლეს მათემატიკაში მუდამ ფრიადი გქონდა, ახლა რა ღმერთი გაგიწყრა?!

ნახატი ვ. კუციასი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ. მეოთხე გვერდზე: ერევანი. ლენინის მოედანი ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/X-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-70 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 46.000. შეკვ. № 3023. უე 02201.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარაკონი. ფოტო თ. არჩვაძისა.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა